

ქორონიში და ჰიერონიში ძართლი: ქრთ, კრთ, კრტ, კრდ, ხრთ, გრდ ძირებთან დაკავშირებული მითოლოგიური კვლევა

წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია მიზნად ისახავს იმის ჩვენებას, რომ ქრთ, კრთ, კრტ, კრდ, ხრთ, გრდ (qrth, krth, krt, krd, khrt, grd) ძირებთან დაკავშირებული მითოლოგიები ძველ ენებსა და ქართველურ ენებში მსგავსია. ეს კი. ენათმეცნიერული თუ არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, განაპირობებული უნდა იყოს ეტაპობრივი მრავალმხრივი მიგრაციული ტალღებით ძველ მსოფლიოში, სიტყვის ვირუსული ბუნებით; რომ დღევანდელი მსოფლიოს ხალხთა ისტორია ეს მკვიდრთა, წასულ-მოსულთა, მსოფლიო ომებისა და გეოპოლიტიკური ომების ისტორიაა, განუვნილი ენობრივ მონაცემებშიც.

წერილის მიზანია აჩვენოს, რომ ქორონიში ძართლი, დამყარებული ეთნარქ ქართლოსზე, ინდოევროპულად მიჩნეული, რომლის დაბოლოებაც (ოც) ბერძნულია, მხოლოდ შემოღობილ ადგილს კი არ ნიშნავს, არამედ მულტი სემანტიკური დატვირთვის მქონეა, ამას ადასტურებს მათი განუვნივი ველი როგორც ძველ, ასევე ცოცხალ ენებში. ავტორების აზრით, ქართლი, სხვა ენობრივი მონაცემების გატვალისწინებით აღნიშნავს: მთას, მთის წვერს, თავს, გონებას, კარს, გამირს, ბაკმიანს, სალოცავსა და თავიანთსცემის ადგილს, შემქმნელს, დამაარსებელს, მაშენებელს, სიმაღლეს, ცენტრს, გულს, შემოზღუდულს, დაცულს, შემწირავს-ქურუმს (მსხვერპლის დამკვლელს).

ქრთ qrth ძირის ოდისეა (მოგზაურობა) იწყება აქადელეზიდან, რომელიც ისტორიაში - III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან თამაშობენ მთავარ როლს; **კერტეს** უგარტული ეპოსი -II ათასწ. შუა წწ-ს განეკუთვნება.

ხრთ/ქრთ khrt/qrth ძირი დადასტურებულია ეგვიპტურ „მკვდართა წიგნებში“ (XVII-XVI სს.), რომელიც პირამიდათა წიგნებისა (XXIV-XXIII სს.) და სარკოფაგთა წიგნების (XXI-XVIII სს.) მოგვიანო ვარიანტია. „მკვდართა წიგნებში“ დადასტურებული სინტაქსური წყვილი **ხართ (ცა) ნიტრ** (ღმერთები) - აღნიშნავს **ღმერთების ცას**.

ქართველთა ეთნარქ ქართლოსის მიერ ქართლის მთაზე დამკვიდრება (-III ათასწლეულის ბოლო), მთის, ქალაქისა და ქვეყნისთვის ქართლის დარქმევა დროში ემთხვევა სახელმწიფო ბაბილონის წარმოქმნას, რომლის მკვიდრნი, სიბრძნით განთქმულნი, საკუთარ სამეფოს აქადურად Karduniaš -ს (ქარდუნიაშ-ს) უწოდებდნენ. მართალია, დროთა ვითარებაში ქორონიმი ქართლის შინაარსი გაბუნდოვანდა, დაიცალა აზრისგან, მაგრამ სიტყვის სუბესტიური ძალის თანახმად, ქართულ, (მესხურ) ფოლკლორში მაინც აირეკლა, მაინც დარჩა მისი შინაარსი, იქედან კი გადავიდა გ. ორბელიანის პოეზიაში: „**მკლავით ძლიერი ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი**“. ციხე-ბურჯობა საქართველოს კუთხეებიდან მხოლოდ ქართლის მკვიდრთან დაწყვილდა.

წერილში ვრცელი ადგილი ეთმობა აღმოსავლეთ საქართველოს ორონიმისა და ჰიერონიმის -კარატეს - ახსნის მცდელობასაც ბერძნ **Ι κάρᾱ τῶ, ἠ. -ιου. κάρη (ᾱ) ἠ.gen.κάρητος** და **καρήατος; dat. κάρητι** და **καρήατι**-ის საფუძველზე.

სტატიაში მითოლოგემების გვერდით წარმოდგენილია მდიდარი ლექსიკური მასალა ქრთ, კრთ, კრტ, კრდ, ხრთ, გრდ (qrth, krth, krt, krd, khrt, grd) ძირებზე, როგორც ქართული, ასევე, ლათინური, ძველბერძნული, სომხური და არშაკიდული პართიის ირანული ენებიდანაც. მათგან ზოგიერთის შესახებ ყურადღება აქამდე ან არ ყოფილა მიქცეული, ან ასე არ ყოფილა მიქცეული.

საკვანძო სიტყვები: ქორონიმი და ჰიერონიმი ქართლი

Ketevan Jervalidze, Nino Periasvili

KHORONYM AND HIERONYM KARTLI MYTHOLOGEMES RELATED TO ROOTS QRT, K'RT, K'RT', K'RD, KHRT, GRD IN THE ANCIENT LANGUAGES

Abstract

In this paper, we explore the arguments concerning the similarity of mythologemes related to roots qrt, k'rt, k'rt', k'rd, khrt, grd (ქრთ, კრთ, კრტ, კრდ, ხრთ, გრდ) in the Kartvelian and ancient languages. Taking into consideration the linguistical and archeological data this was caused by the diversity of immigration waves in the ancient world, the fast-

spreading and flexible nature of words, and of course by the fact that the history of the modern world is the history of natives, immigrants, international geopolitical wars diffused in the language features.

The choronym Kartli, that originates from the name of ethnarch Kartlos, a word that was considered Indo-European with a Greek suffix (ος), does not mean just hedged place but also has multi-semantic function, and it is well evidenced in the ancient and modern languages. The word Kartli in various languages means mountain, the top of the mountain, head, mind, door, hero, halo, shrine and temple, creator, founder, builder, height, center, heart, walled, protected, priest.

The odyssey of the root qrt begins from Akkadians, who played a main role in the history beginning the second half of the third Millennium. The Ugaritic epic poem of Keret dates to the Late Bronze Age, circa 1500 – 1200 BC.

The khrt/qrt root is evidenced in "the Egyptian Book of the Dead" dated to 1700-1600BC, which is a later version of the Pyramid (-XXIV-XXII) and Coffin (-XXI-XVIII) Texts. The syntax pair Khart Nitr that is evidenced in the book means the sky of gods.

The time when Georgian ethnarch Kartlos settled in the mountains and named the mountain, city, and the country Qartli by the end of the third Millennium, chronologically coincides the time of the creation of Babylon, residents of which, famous with their wisdom called their state **Karduniaš**.

Although the meaning of the choronym Qartli became vague and lost its context, it was still reflected in the Georgian (Meskhetian) folklore and kept its content simply because of the inspirational power of the word. From folklore, it transferred to the poetry of G. Orbeliani "hand-strong qartlian, strong as a fortress". The word fortress was solely paired with and equaled to the concept of being native of Qartli and not of the other regions of Georgia.

In the paper the authors try to elaborate the oronym and hieronym of eastern Georgia Karate by using Greek words - κάρᾱ τό, κάρη (ᾱ) gen. κάρητος, καρῆατος; dat. κάρητι, καρῆατι.

Apart from the mythologemes, the paper demonstrates the plethora of lexical data regarding the following roots qrt, k'rt, k'rt', k'rd, khrt, grd ((qrT, krT, krt, krd, xrT, grd) in the Georgian, Latin, Ancient Greek, Armenian, and Iranian languages (Arsacid Parthia). Some of them were never studied or challenged enough scholarly.

Key Words: Khoronym and Hieronym Kartli,

საქართველოს სახელმწიფოებრიობის საკითხი, ქართველი ხალხის საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე ცხოვრების გრძლიობა, მისი ეთნოგენეზი, ქორონიმისა და ეთნონიმის შინაარსის კიდევ ერთხელ გადახედვა და გააზრება ქართული ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, ისევე როგორც სხვა ერებისთვის, მით უფრო დღეს, მრავალმხრივი მიმე გამოწვევების პირობებში. ამ საკითხს ქართველი მეცნიერები სწავლობდნენ და სწავლობენ ასურულ, სპარსულ ძველბერძნულ, ლათინურ ქართულ წყაროებზე, არქეოლოგიურ აღმოჩენებზე დაყრდნობით, რასაც ახლა უკვე კოსმოსიდან გადაღებული ფოტო მონაცემები და სხვა თანამედროვე კვლევის საშუალებებიც ემატება. ამ დიდ საქმეში წვლილი შეაქვს ეტიმოლოგია-ონომასტიკასაც.

ქორონიმ ქართლის შესახებ დღეს ძალიან მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს და მე მადლობას ვუხდის ყველა ჩემს წინამორბედ მეცნიერს ამ უკეთილშობილესი და უმძიმესი შრომისთვის. რამდენჯერმე მოხდა მათი შეჯამებაც.

როგორც სტატიის სათაურიდან ჩანს, ჩვენი მიზანია, არა ფონეტიკური პროცესების გამოყენებით მსჯელობა ქორონიმ ქართლზე, არამედ **ქრთ** - ძირსა და მის ვარიანტებზე დამყარებული მითოლოგიების მოძიება და თავმოყრა, წყაროებისა და ლიტერატურის მითითებით, რათა მწირი ქართული ნარატიული მონაცემები და ასევე ენათმეცნიერული კვლევაანი ამ კონტექსტშიც იქნას დანახული და განხილული...

უნდა დავიწყოთ იმით, რომ არსებობდა ხალხთა წარმოშობის ბერძნული, სპარსული (სხვა ხალხთა) თეორიებიც, რომ აღარფერი ვთქვათ ჩვენთვის კარგად ნაცნობ ბიბლიურ კონცეფციაზე, რომელსაც ევროპელი ხალხებისთვის - იტალიელები, ფრანგები, ესპანელები, ბრიტანელები, გერმანელები - შუა საუკუნეებში ამოსავლად ემატებოდა ტროას ომიც (Грабарь-Пассек 1966). წესით ჩვენი წინაპრების ცხოვრებაზეც უნდა მოეხდინა გავლენა მას, თუმცა, დასავლურ ევროპული ტრადიციის მსგავსი არაფერი გვაქვს. არ გვაქვს ჰომეროსის „ილიადას“, ვირგილიუსის (-70 -19) „ენეიდის“ კიდევ სხვა ელინისტური პერიოდის ავტორების მსგავსი ქმნილებები, კამონენის (1524- 1580), „ლუზიადას“, რონსარის (1524 -1585) „ფრანსიადას“ და თუნდაც ხერასკოვის (1733-1807), „რასიადას“ მსგავსი ნაწარმოებები. მაგრამ მაინც გვაქვს ყოფნა-არყოფნის უამს შექმნილი გრიგოლ ორბელიანის პოემა

„სადღეგრძელო“ და ნ. ბარათაშვილის ლექსი „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტინისა და ჩქინელთა, წელსა 1844-ს“ (ქ. ჯ.), ერთგვარად მიბაძვითი ნაწარმოებები. ასე რომ, დღევანდელი კაცობრიობის ისტორია ეს მკვიდრთა, წასულ-მოსულთა, ეროვნული და გეოპოლიტიკური კატასტროფების ისტორიაცაა.

ამ თვალსაზრისით, ჩვენი ერის მითოსური და ისტორიული მეხსიერება მხოლოდ ბიბლიური კონცეფციიდან ამოდის. თარგამოსის მითი, ქართლოსის მამისა, როგორც ბიბლიურ ნებროთთან დაკავშირებულისა, ძალიან ძველია, დაახლოებით აბრაამის ქაღდის ურიდან გამოსვლას ემთხვევა. სახელებიც აბრაამის მამისა - თერახი (თარრა) და თარგამოსის მამისა - თარში ერთმანეთის მსგავსია.

ბიბლიური ქრონოლოგიით აბრაამმა იცოცხლა -1812 დან -1637-მდე, ანუ 175 წელს. ЭСБЕ - მიხედვით -2040- დან-1865-მდე, ანუ ძვ. წ. XXI -XIX სს-ში (Квливидзе 2000:149-155). ეს ქრონოლოგია ემთხვევა ქართლოსის დამკვიდრების ლეგენდას ქართლში. გამოდის, რომ „მართალი“ ებერის შთამომავალი, ღვთის ბრძანებით, წასულა სამხრეთით, ნებროთის წინააღმდეგ მებრძოლი თარგამოსი კი დაახლოებით იმავე დროს - ჩრდილოეთით.

ქართული წყაროს ცნობები: მითოსურ-ისტორიული: როგორც ცნობილია, ეთნონიმი ქართველი და ქორონიმი ქართლი **ქართლოსთანაა** დაკავშირებული და მასვე ემყარება მისი განვითარების სტადიებიც, შემკრებლობითი ცნება - ყოველი ქართლი და შემდეგ **სა-ქართ-უელ-ო** - ქრისტეს შემდგომ I -ათასწლეულის ბოლოს - როგორც ქვეყნისა და ერის, სულ მცირე, სამიათასწლოვანი განვითარების ჯამი - გვირგვინი.

თანახმად ქართლის ცხოვრებისა, ქართლოსი „განვიდა მთასა მას ზედა, რომელსა ეწოდების არმაზი, და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზედა, და იშენა მუნ ზედა სახლი, და უწოდა მთასა მას სახელი თავისა თჯისა ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი ერქუა მთასა მას ქართლი, და მის გამო გამოეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი. მროველის მიხედვითვე, მირიანს ქართველთა სიყვარულის გამოსახატავად შეუმიკია ფარნავაზის საფლავი, რომელიც არმაზის მთაზე, ანუ **ქართლის მთაზე იყო, მაშასადამე, შეუმიკია ქართლოსის საფლავიც და თავი მათი საქმის გამგრძელებლად გამოუცხადებია** (ლეონტი მროველი, 2008: 29, 45).

წყაროს ცნობით, ქართველთა „მტკიცე და უფროსი საფიციარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა“ (ლეონტი მროველი, 2008: 31), რომელიც არმაზში (ქართლში) დაკრძალეს. ამრიგად, ასტრალური კულტის, კერპთაყვანისცემის შორეულ ჟამს ქართველთა დიდ მითურ წინაპარს თაყვანს სცემდნენ, როგორც გმირსა და ღვთაებას.

აქვე ნახსენებია სწორედ თავი მწვერვალის მნიშვნელობით. ანუ ქართული ტრადიცია, მითოსური პერიოდიდან მომდინარე, ქვეყნის სახელწოდებას აკავშირებს ეთნარქთან, რომლის სახელიც, **ჩვენი აზრით**, სხვა ენების მონაცემთა გათვალისწინებით, პოლისემანტიკური შინაარსისაა. აღნიშნავს მთას, მთის წვერს, თავს, გონებას, კარს, გმირს, ბაკმიანს, სალოცავსა და თაყვანისცემის ადგილს, შემქმნელს, დამაარსებელს, მაშენებელს, სიმაღლეს, ცენტრს, გულს, შემოზღუდულს, დაცულს, შემწირავს-ქურუმს (მსხვერპლის დამკვლელს) არმაზამდე. თავად გმირის ცნება კი უძველეს დროს ითავსებდა მებრძოლის, მკვლელობისა და ქურდობის, ერთგულების ცნებებსაც. ჩვენი სამეცნიერო წერილი სწორედ ამის ჩვენებას ისახავს მიზნად, რომ ჩვენი ქვეყნისა და ერის სახელი მულტი სემანტიკური შინაარსისაა.

ქართლოსის შემდგომ ფარნავაზამდე და მერეც, ნებროთის მითის თანახმად, გაგრძელებულა ქართლოსის საფლავის თაყვანისცემა.

ქართული წყაროს სანდოობას, რომელსაც, სამწუხაროდ, ასე უმოწყალოდ აქილიკებენ ზოგნი, აძლიერებს არქეოლოგიური მონაცემები, მოპოვებული რამდენიმე თაობის მიერ. ეს არქეოლოგიური არტეფაქტები ადასტურებენ, რომ -II ათასწლეულიდან -XIV საუკუნემდე, შუაბრინჯაოსა და გვიანბრინჯაოს ხანაში, ქართლოსისა და ჰეროსის სამკვიდროში კულტურა საერთოა. ეს ერთობა ირღვევა -II ათასწლეულის ბოლოსა და -I ათასწლეულის დამდეგს, ანუ ქართლოსის მემკვიდრეების დროს, თუმცა გენეტიკური ხაზი არ წყდება (ფიცხელაური, 2009-2010: 125). ეს კვლევა, მართალია, ქართლოსისა და ჰეროსის სამკვიდროს ეხება, მაგრამ რამდენადმე მაინც მოდის შესაბამისობაში გამყრელიძე-მაჭავარიანის დასკვნასთან, რომლის თანახმადაც, ერთიანი ქართველური ფუძე ენის დაშლა -I ათასწლეულიდან ივარაუდება.

ქრთ ძირზე და მის ვარიანტებზე დამყარებული ტოპონიმები, ორონიმები, ჰიერონიმები, ჰიდრონიმები:

ქართა - მთა თრიალეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთგანშტოებაზე (ჯაყელი 10, 1986: 458)

დღეს ქართლის (ფშავის ქედი) ქედის სახელს საქართველოში ატარებს ქედი დუშეთის, თიანეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში (მარუაშვილი, 1986: 469).

ბართქორთი, ქედი მყინვარწვერის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთაზე, ყოფს დევდარაკისა და ჩათის (წათის?) მყინვარებს.

კარატისწვერი - მთა ხევსურეთში.

აღმოსავლეთ საქართველოში გვაქვს ტოპონიმები: კარდანახი და გარდა-ბანი? რომლებშიც ჩანს ქრთ-ის სახეცვლილი ვარიანტები. იმერეთში გვაქვს გორდი, რომელიც აშკარა გრეციზმი ჩანს გორდიონიდან - Γόρδιον.

თურქეთის საქართველოს საზღვრებში, ძველ კლარჯეთში, ართვინის მიმდებარედ დღესაც ყოფილა გეოგრაფიული პუნქტი ქართლა, 80 მცხოვრებით (ჯოხარიძე, 2016: 105). ასევე, სამეგრელო სავნეთის შესაყარ-გასაყარზე გვაქვს ქართლაშის მთა, ქართლაშის ციხე და ქართლაშის საძოვრები (წალენჯიხის მუნიციპალიტეტი) (<http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/sofiokekua.pdf>). როდიდან ატარებს ამ სახელს არ ვიცით. ციხე მიგვანიშნებს მის ფეოდალურ წარსულზე და ეს ეპოქაც ძალიან ვრცელი და მნიშვნელოვანია, ანუ საბჭოთა პერიოდს არ განეკუთვნება, თუმცა შედარებით მოგვიანო პერიოდის ჩანს.

ივანე ჯავახიშვილს მოჰყავს პროკოფი კესარიელის მიერ დასახელებული დაბა-ციხეები ჭანეთში, მათ შორის **ხართონი** (პროკოპი De aed. III, 6.) და დასძენს, **ხართონ** იგივე ღართონია, ამგვარი სახელი მართლაც შემონახულია ქართლში, მაგალითად, **ღართის** კარიო (ხართიშვილი: http://defencegeorgia.blogspot.com/2010/12/blog-post_6247.html). (თვით ხართიშვილი- ანთროპონიმი სწორედ **ღართთან** უნდა იყოს დაკავშირებული.

იგულისხმება დასახლება მცხეთის მუნიციპალიტეტში საკულტო ნაგებობით (ნარიმანიშვილი, 1993: 103). ღართის ეკლესია გვაქვს ასპინძაში. ჩენ დავამატებდით, რომ **ღართონი ქართონი** უნდა იყოს და ღართის კარი - ქართის კარი. ხომ არ გვაქვს **ღართის კარში** საქმე ფუძის გაორებასთან? იქნებ დაიკარგა **ღარდთის** შინაარსის გაგება, იქცა ტოპონიმად და დაემატა მას იმავე შინაარსის გადმომცემი ახალმოდური სიტყვა კარი?...

ხევში, ყაზბეგის რეგიონში გვაქვს ტოპონიმი **კართსოფელი** (კარათყაუ) (ქსე: 1979: 404), სერგი მაკალათიას მიხედვით,

კარატყავი (მაკალათია, 1934: 21); **კარეტა κάρητος** - მთა ამბროლაურში აშკარა გრეციზმი გვეგონია. **კარატის ჯვარი** - მთა დუშეთში ესეც გრეციზმი ჩანს.

სოფელი **ქორთა** ჩვენ უკვე ვიცით გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“, ანუ ეს ტოპონიმი დაფიქსირებულია **X ს-ის შუა წლების** (951 წ.) ლიტერატურულ-ისტორიულ წყაროში და უნდა მოიაზრებოდეს ანჩის მიდამოებში.

დღეს გვაქვს **ქორთა** - სოფელი ონში, **ქორდი** - გორში, (რომელიც **გორდის** ვარიანტი უნდა იყოს ქ. ჯ.), ასევე მდინარე და სოფლები სახელით **ქურთა** ახალგორსა და ცხინვალში. ქურდ-ული სოფელი ხულოში, ქურთლ-არი მარნეულში; **კორდა** - მთა შავშეთის ქედზე, ხელვანაურის რაიონი; **კორტი** - სოფელი ამბროლაურში, **კორტინეთი** - სოფელი ბორჯომში, **კორტოხი** - სოფ. ხულოში. **კორტოხი** უღელტეხილი ლიხის ქედზე, **კორტოხის თავი** - მთა თერჯოლაში (საქ. სსრ გეოგრაფიული სახელების ლექსიკონი, 1987); **ქართა**, თრიალეთის ქედის განშტოება (ჯაყელი, 1986: 458) **ქართვანი** - მესტიაში (ქსე 10, 1986: 458) თითოელის შესახებ მეცნიერებს აქვთ გამოთქმული მოსაზრებანი, რომელთაგან ზოგს ქვემოთ შევეხებით...

გვაქვს გვარებიც: ქართ-ველი, ქართ-ველიშვილი, ქურდ-ადე, ქურდ-ოვანიძე, ქაღდ-ანი, ქურდ-იანი ქარდავა(ვარიანტით გაღდავა), ქორთ-უა, ქორთ-უშვილი. მამაკაცის სახელი ქართლოსი.

აღ. ღლონტის მონაცემები, მამაკაცთა სახელები: **ქართამ (I ს-ის პირველი ნახვარი)** (ქრთ. ცხ.), ქარდა-ყან (სვან.), ქართა-ხანი (კოლხ.), ქართ-იბა, ქართიბაშვილი ქათიბაშვილი; ქართლი (კახ.), ქართუ (მთიულ.), ქერდ-იკა; ქორდია (კოლხ.) ქორთა-ქორთაშვილი, ქორთელი; ქურდი, ქურდან (სვან.); ქურთა, ქურთო (სტ. კოლ.), ქურთულა (ბორჯ.); კარდალი (თუშ.), კარდ-ილ (სვან.), კარდო (კახ.), კორტ-ანა (ქიზიყ.); კურატა (ქსნ.ხ.), კურეტი (ხევს.); ამ ძირებზე ქაღთა სახელები აღ ღლონტის მიხედვით, არ გვაქვს (ღლონტი, 1986). **ქართამ** - ერთ საუკუნეში მეფის სახელად გვხვდება ორჯერ და ერთხელაც ეგრისელი უფლისწულის **ქართამ კოლხის** სახელად, დედით ფარნავაზიანის, რაც ბევრის მანიშნებელია. ანთროპონიმი, შესაძლოა, ბაკმიანსაც ნიშნავდეს, მეგრულში აქვს სიტყვა **ქართა-ს** ეს მნიშვნელობაც: წრე, ალყა, გვირგვინი (ქაჯაია III, 2002: 128).

ცნობილია, რომ ქართ ძირს კანონზომიერედ შეესატყვისება მეგრ. **ქორთ-**, ლაზური **ქორთ-** და სვან. **ქართ-** (სვანური **ქართ**

ახლა მხოლოდ თბილისის აღსანიშნავად იხმარება (ЭСКЯ 196); (ქველ. 332).

ბ. კლიმოვის მიერ გლოტოქრონოლოგიური მეთოდით კვლევის შედეგად (100 სიტყვა), სვანურის გამოყოფა ივარაუდება -II ათასწლეულიდან, ლაზურ-ქართული ერთიანობა კი -VIII ს-დან, ანუ ამ დროს ***ქართუელ** და **ქართულ** არქეტიპები, როგორც ეთნიკური იდენტობის განმსაზღვრელი, უკვე ჩამოყალიბებული უნდა ყოფილიყო (კლიმოვი, 1994: 91) თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის ამავე მეთოდით კვლევის თანახმად (200 სიტყვა), სვანურის გამოყოფა უნდა დაწყებულიყო - I ათასწლეულიდან, ხოლო ლაზურ-ქართული ერთობა ძველი და ახალი წელთაღრიცხვების გასაყარამდე შენარჩუნებულია (ძიძიგური, 1990: 83).

ამავე დროს მეგრულში გვაქვს საინტერესო სემანტიკური ერთეულები: **კარ(ლ)თე**- კალთა, მთის ფერდობი; კართუა (წუართვა? - ამოვლება, ამოშიშვლება; კაწ, ქ. ჯ.) - რაიმეს ზემოთ აწევა, აკაპიწება (ქაჯაია II, 2002: 109).

თვითონ ქართველები რას ეძახდნენ საკუთარ თავს და საკუთარ ქვეყანას უძველეს დროში, ჩვენ სრული სიზუსტით არ ვიცით. იბერია და იბერები - ეს ელინისტური პერიოდის ქრონიმი და ეთნონიმია, ბერძენი ავტორების მიერ გამოყენებული (მელიქიშვილი, 1970: 312-356).

იქნებ იბერია და ქართლი ერთსა იმავეს, ან მიახლოებულ შინაარსს, გადმოსცემდნენ? იბერია იყო იქნებ ქართლის თარგმანი, ან პირიქით? არამეულად სამი განსხვავებული შინაარსის ლექსემა უადრესად მსგავსი სიტყვებით გადმოიცემოდა: **b'ra'** - (ძე, ვაჟი); **b'ira'** - ვირი, ან ხარი; **b'era** - ჭა, ჯურღმული (Аверинцев, 1977: 179): „και ἀποκριθεὶς πρὸς αὐτοὺς εἶπε· τίνας ὑμῶν υἱὸς (Ze)ῖ ἦ βίον (ხარი) εἰς φρέαρ (ჭა, ჯურღმული) ἐμπιθεῖται (ჩაუვარდეს), και οὐκ εὐθὲν εὐάσπασει αὐτὸν ἐν τῇ ἡμέρᾳ τοῦ σαββάτου; - და უთხრა მათ: რომელიმე თქვენგანს ვირი ან ხარი რომ ჩაუვარდეს ჭაში, განა დაუყოვნებლივ არ ამოიყვანს, შაბათიც რომ იყოს? და ჰრქუა მათ: ვისი თქვენგანისად შვილი გინა ჯარი შთავარდეს ჯურღმულსა, არა-მე მეყსეულად აღმოიქვას იგი დღესა შაბათსა?“ (ლუკ. 14, 5). **ეს განსხვავებული წაკითხვანი** ქართულში სწორედ ამ არამეული სიტყვების მსგავსებით არის გამოწვეული. **ბერი** ჩამომავლობის აღსანიშნავად გვაქვს

ქართულ სივრცეში: სულაბერი, დოლაბერი, გიგიბერი, ლოსაბერი, კახაბერი...

ჭა - ჯურღმული წყალთა (წყლისა CqD) ZABCD. - განმარტავს სულხან-საბა... ჰქონდა საპყრობილის (ხაროს) მნიშვნელობაც (ქეგლ).

უშორეს წარსულში, ამ არამეულ სიტყვებს, ჩვენი აზრით, ერთი ამოსავალი ექნებოდათ: შვილი = შინაურ ცხოველს (არაბები კოზაკს შვილს უწოდებდნენ, შვილის მსვერპლად შეწირვა შეცვალა შინაურმა ცხოველმა სწორედ აბრაამის დროიდან) და = წიადს, შობა ხომ წიადიდან, სიბნელიდან სინათლეზე გამოტყვევად იყო აღქმული? (ქ. ჯ.). უძველესი ადამიანის ფსიქოლოგიისა და ეთნოფსიქოლოგიის თვალსაზრისით, მართლაც საინტერესო ფაქტია. სულაც არ არის გასაკვირი, ქართლი თავისი გეოგრაფიული მახასიათებლებით არამეულებს და მათ უძველეს წინაპრებს, ფინიკიელებს, რომლებიც არამეულ ენაზე -I ათასწლეულის შუა წლებში გადავიდნენ, მთა-გორებში მოქცეული ხეობებით საგსე სივრცე, ასე მოსჩვენებოდათ (ქ. ჯ.). აქამენიდური ირანის იმპერიაში (-VI-IV სს.) არამეული ენა გახდა საქმიანი მიმოწერისა და საერთაშორისო ურთიერთობის ენა (ხახუტაიშვილი, 1971, 553), რომელიც მთელ წინა აზიაში, ცოტა მოგვიანებით, ბერძნულ ენასაც კი უწევდა კონკურენციას. ამავე დროს თვლიან, რომ ფინიკიელები წარმომავლობით ეთანათესავეებიან ახლო ახდმოსავლეთისა და კავკასიის მეზოლითურ მოსახლეობას.

ქართ ფუძეზე მსჯელობს ენათმეცნიერი მ. ჩუხუაძე. მის ბოლო ნაშრომში, თავის წინა ნაშრომის კვალად, („იბერიული-ინქერიული ენათა შედარებითი გრამატიკა“, თბ., 2008, 524), **ქრთ** ძირის საერთო კავკასიური საყოველთაობა კიდევ ერთხელაა ხაზგასმული. მეცნიერს **ქართ** ალმომორფის ზანურ შესატყვისად მიაჩნია **ქურთა** (შდრ. ქუთა-თ-ი) // ქუთა დაედო საფუძვლად ქალაქ ქუთაისის სხვადასხვა სახელებს ქუთა-ის-ი, ლაზ. ქუთა-იში-ი, ქუთა-ია (შდრ. ასევე ქართ. ქუთა-თ-ურ-ებ-ი)...

ს. სინდ.*ქათა - „სოფელი, სადგომი, ფარეხი“

ადიდ. ჩ ათ „ფარეხი“, შაფს. ქ ათჲ „შენობა“, ჩ ათ, ბასლ. ქ ათ „ბაკი“, „საქონლის სადგომი“.

აბაზ. ქტ, აფხაზ. ა-ქტა „სოფელი“

სიტყვის მნიშვნელობის უკეთ გასაგებად ძვირფასია შუაფსუდურის ჩვენება, სადაც ქ ათჯალმორფი შენობის მნიშვნელობითაც დასტურდება (კვახაძე 2014: 156).

სინდურ ენებში **რ** დაკარგული ჩანს, რაზეც ნათლად მიგვითითებენ დაღესტნური და ნახური შესატყვისობები: ხუნძ. (ჰიდ.) ქორთ, ინხოყვ. ქქერთი „საფიხენო“, „თავშეყრის ადგილი“...

ვაინახ. ქ **დერთ**// ქართ//ქერთ „ეხო“; „ლობე“; „ზღუდე“ (ჩუხუა, 2017: 399).

ჩვენ მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ქალაქი **ქუთუ** /Kyta (შუმ. Gudua - ქუთუა; აქად.^dSar-Qutê ქუთის მეფე.) არსებობდა ბაბილონეთში, ქვესკნელისა და მკვდართა სამეფოს ღმერთის **ნერგალისადმი** მიძღვნილი და ქვესკნელსაც ეწოდებოდა **ქუთუ** (კიკნაძე, 1984: 54). ბიბლია ამ ქალაქის მცხოვრებთა სამარიაში გადასახლებაზეც მოგვითხობს: „და მოიყვანა მეფემან ასურასტანისამან ბაბილონით და **ქუთით...**“ (4 მეფ. 17: 24);

მეზობელი სომხეთის ცენტრალურ ნაწილში კი არსებობს კოტაიქის/(ქუთაისის? ქ. ჯ.) მხარეც **Котайк** (სომხ. Կոտայք), დღეს ლუდით განთქმული (<https://www.advantour.com/rus/armenia/kotayk.htm>).

ასევე ცნობილია დასახლება კრეტაზე-Κύταιον-ი და მისი ვარიანტები Κύταρος (პაფლაგონია), Κότα (კარია), ანთროპონიმი Κυρίσθαιος-ქუთისორე (ფრიქსეს ვაჟი, პაპის მოწინააღმდეგე) (გორდეზიანი III, 2007: 471-472). რ. გორდეზიანი **ქუთ** ძირს სემანტიკურად გულის გამოღებას, **ქუთნას** უკავშირებს (ქურდი, მეგრ. ქვირთი „ქურდი“ სვან. ლი-ქუთ-ერ „მოპარვა“ (გორდეზიანი II, 2007: 211-212).

ამავე ნაშრომში მ. ჩუხუას მოჰყავს საინტერესო მაგალითი ლექსემა **ქარდ**-ის შესახებ.

ს. ქართვ. ***ქარდ** - „დიდი ეკალი“

ქართ (გურ.) **ქარდ**-ი „დიდი ეკალი“

ზან(მეგრ.) **ქურდ**-ია „ერთგვარი ეკლიანი მცენარე“. **ქურდ**-იონი (მიკრტოპ. სობში).

ქართველურ სიტყვას კანონზომიერი შესატყვისი ეძებნება სინდურ ენებში. სვან. **ქარდ** „ეკალი“, „ჩირგვი“ არ იძლევა ქუ არდ ლაბიალიზირებული არქტიპის ადღგენის შესაძლებლობას.

ს. სინდ. **ქჷანდ** - „ბუჩქი“

ადიდ. **ქჷანდ** - „ბუჩქი“... (ჩუხუა, 2017: 399).

უბიხ. კარდა - „ბურთის დასარტყმელი პატარა ჯოხი (ჩუხუა, 2017: 227).

ამჯერადაც მხოლოდ დამატებით შემოვიფარგლებით: ლათინურ ენასაც აქვს აბსოლუტურად მსგავსი სიტყვა როგორც ფონეტიკურად, ასევე სემანტიკურად: **cardo, inism**, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა: 1. *c. masculus Vtr* შიშ, цапфа; - ეკალი, ქაცვი, შვერილი, როდესაც სიტყვა მამრობითი სქესისაა, 2. ხოლო როდესაც სიტყვა მდედრობითი სქესისაა, *c. femina Vtr*, ნიშნავს ბუდეს, ღიობს, ხერეღს, ნახვრეტს. დადასტურებულია I ს-ის მოღვაწე ვიტრუვიუს პოლიოსთან (Vitruvius Pollio) (Дворецкий 1976, 157). ანუ, ერთი და იმავე სიტყვის სემანტიკურ სხვაობას განსაზღვრავს სიტყვის სქესი და ეს იწვევს მის მომიჯნავე სემანტიკურ ველში გადანაცვლებას. როგორც ჩანს, ეს პროცესი საერთოა სქესის გრამატიკული კატეგორიის მქონე ენებისთვის. ქართულ ენას კი სქესის გრამატიკული კატეგორია არ გააჩნია. ქართულში იქნებ სწორედ ეს სქესით გამოწვეული სხვაობანი გვაქვს ლექსემებში: ღართი გასასვლელი კარი; ღართი - ნაბადი (გაშლილი ნაწილი), შალის ქსოვილი, ჩოხა, საწვიმარი ლაბადა; კარდალა - ქვაბი/ქობი, გამქვავული/გამოქობილი; კარდ - დიდი ეკალი?

ამასთანავე, ჩენ ვსვამთ კითხვას: თუკი ამ შემთხვევაში საგანი - ეკალი, ან ეკლის ბუჩქი - დახასიათებულია სიგრძის, სიმაღლის მიხედვით? ხომ არსებობს დაბალი ეკლის მცენარე და მაღალიც, ბუჩქიც და ხეც? ერთი და იმავე სიტყვით სხვადასხვა საგნების დახასიათება ხომ შესაძლებელია, ან კიდევ გაშლა?... რამდენად შეიძლება, სიტყვა ლათინური ენიდან ნასესხობად ჩაითვალოს? ამაზე დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვით, მაგრამ თუ ნასესხობაა ლათინურიდან, ის უნდა - I ს-ში ვივარაუდოთ, მითრიდატული ომების პერიოდში და შემდეგ: 1.-89-85 წწ; 2. 84-82წწ; 3.74-63 წწ. ამ საკითხს ღიად ვტოვებთ ახლა...

ქართლის ცხოვრების თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში გვქონდა სალოცავი **ქართლის მთა, რომელსაც შემდეგ არმაზი ეწოდა, ხოლო** აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დღესაც გვაქვს სალოცავი მთა და ხატი - **კარატე**. სამწუხაროდ, ხატის დაარსების მიხედვით დროც კი არ ვიცით. ქართლის მომიჯნავე რაჭაში კი, როგორც ვიცით, გვაქვს ორონიმი **კარეტა/κάρητος -ი**.

ხატი კარატე:

კარატის ჯვარს უწოდებენ ხევსურნი ღვთისშვილ კოპალას, რომელიც დაარსებულა პირველად ლიქოკში კარატის მთის-

წვერზე. ფშავ-ხევსურებისთვის კარატეს ჯვარი იმითაც გამოირჩევა, რომ მის დროშას ჰქონდა წყალში დამხვრჩაღთა და ზვავში მოყოლილთა მოძებნის უნარი. ასეთ დაღუპულებს, ხალხის აზრით, ავი სულები ეპატრონებოდნენ. ამიტომ ამისთანა შემთხვევებში მოჰყავდათ კარატის ხუცესი, რომელსაც სულის ხუცესსაც უწოდებდნენ. ის კარატის დროშით ეძებდა დაღუპულს და როცა მკვდარს იპოვიდა, მედროშე იმ ადგილას ასობდა დროშას. ნიშნად მიცვალებულის პოვნისა, სულის დაბრუნებისა და კლავენენ ცხვარს (კიკნაძე, 1996: 280).

კარატეს შესახებ შეძლებისდაგვარად შეგროვდა რა, ინფორმაცია გაჩნდა მისი ეტიმოლოგიის დადგენის ცდაც. ტოპონიმის ამოსავლად ი. ქეშიკაშვილმა მიიჩნია ქართული სიტყვა **კარი**, მისი სემანტიკა „გასასვლელი“. სიტყვა გაიყო ორნაწილად „კარად“ და „ტედ“. დ. იმნაიშვილზე დაყრდნობით ტეტი ინგუშურიდან მომტინარე „ზე“ თანდებულად იქნა გააზრებული. ეს მოსაზრება გამყარებული იქნა ასევე რ. გორდენიანის ინფორმაციითაც, რომ შუმერულში „ტას“ ერთ-ერთი ფუნქცია სწორედ „ზე“ თანდებულის გადმოცემაა (ქაშაკაშვილი, 1990: 60). კარატეს სალოცავების სიმრავლით გამოირჩევა თუშეთი, თუმცა კარატეს ჯვარი იქ ლიქოკიდან არის გადაბრძანებული. დაღესტნის დასავლეთ ნაწილში კი ცხოვრობენ კარატაელები, ჩვენი მეზობლები.

ჩვენი აზრი:

ქართული **კარატეს** მსგავსი, ურო სწორედ ფონეტიკურად და სემანტიკურად ზუსტი ლექსიკური ერთეულები გვაქვს ძველ ბერძნულში *dat. κάρητι და κάρηται*:

Ἰ κάρη τόν, ἄν. -υοη. Κάρη(ἄ) და გადმოსცემს თავს, მწვერვალს, დადასტურებულია ჰომეროსთან. მისი ნათესაობითი და მიცემითი ბრუნებია: **ἄν. gen. κάρητος და κάρητατος; dat. κάρητι და κάρηται**. ანუ ნათესაობითსა და მიცემითში აღდგება ფუძისეული თანხმოვანი. ქართული სალოცავი კარატე, რომლის საბრძანისი მთის წვერია და ბერძნული საზოგადო სიტყვა მწვერვალის ერთმანეთთან შესაბამისობაში მოვა. სტრიქონები **„კარატით კარატემდინა გზა მქონდა გასავალია“** ასე გამოინაარსდება: „წვერიდან წვერამდე (კლდიდან კლდემდე, მთიდან-მთამდე) გზა მქონდა გასავალია“. ღვთისშვილნი ზეციდან ვერტიკალურად ჩამომავალ, ან წვერიდან წვერამდე გაბმულ შიბზე დადიან. ასე ესიზმარა ღვთისშვილნი ვაჟა-ფშაველას დედასაც (ვაჟა-ფშაველა, 1990: 390).

მოგვეავს დეტალური ლექსიკური მასალა ძველი ბერძნულიდან:

I kárā tó, ან.-იონ. Κάρη (ἄ) ἡ (ან. gen. κάρητος u κάρηατος; dat. κάρητι u κάρηατι - у Trag. κάρα; acc. = nom.; nom. pl. = nom. sing.) 1) **голова** (πολὸν κάρη Hom.): ὑψοῦ κάρη ἔχειν Hom. высоко закидывать голову; περὶ πόδα, περὶ κára Aesch. вокруг ног, вокруг головы, т. е. с ног до головы; 2) лик, лицо: γέλωτι φαῖδρὸν κára Soph. сияющее улыбкой лицо; 3) **вершина, верхушка** Hes., Soph.; 4) описательно, в знач. **дорогой, милый, преимущ. в обращении; обычно не переводится:** ὃ κράτιστον Οἰδίου κára! Soph. о, могущественнейший Эдип!; Τέθνηκε θεῖον Ἰοκάστης κára! Soph. умерла благородная Иокаста!; ὃ κοινὸν αὐτάδελφον Ἰσμύνης κára! Soph. о, родная, милая сестра Исмена! (Дворецкий I, 1958, 875).

ანუ ბერძნულ ენაში სიტყვა უკვე -VIII-VI სს-ში ლიტერატურულად დადასტურებული ფაქტია; კარატის სალოცავი წარმართული ეპოქიდან ნამემკვიდრალია ჩვენში. მიახლოებითი თარიღის დადგენაც კი გვიჭირს, თუმცა ქვედა ზღვრად ალექსანდრე მაკედონელის ეპოქა მიგვაჩნია, მისი ერთი ერის შექმნის კონცეფციიდან გამომდინარე. ამ მიმართულებით კვლევები უადრესად საინტერესოა ჩვენში დღეს (წულუკიძე, 2010: 91-118)

ბერძნულ სივრცეში ცნობილი ლექსემის ოთხი მნიშვნელობიდან ჩვენში დამკვიდრებული ჩანს მხოლოდ ორი: 1. „თავი“ და 3. „მწვერვალი“. ზემორე მონაცემებით, ბერძნული სიტყვის სემანტიკური ველი გავრცობილა -V ს-ში. ბეეკსის თანახმად, ლექსემა I kárā ინდოევროპულია (Beekes, 2010:641)

უშუალოდ **კარ** ძირზე დიდ ინფორმაციას გვაწვდის სომეხი მკვლევარნიც გ. ს. აბრამიანი და ე. მ. მურზაევიც: **каp** — камень. Упомянем хач-кар «крест+камень» — христианская символика армян. Г. А. Меликишвили (1964, 70) указывает урарт. карби «скала». Армянское слово не одиноко в индоевропейских языках: др.-инд. каркара «гравий, галька», совр. хинди канкар «галька», албан. karre «скала», что отложилось в болгарских диалектах: карпа, карпи, карпица «скала, утес». Ср. еще груз, коре «стена из простого камня без глины». Подобный анализ индоевропейского ареала кар дан И. Хубшмидом (1969, 248), который пишет: «Пожалуй, здесь скорее нужно исходить из доиндоевроп. **кагт** — камень», но не упоминает при этом армянское слово. Как объяснить наличие лексем- карка «камень» в даргинском языке в Дагестане, ваханское гар (кгар) «камень» в Таджикистане? Можно ли

для понимания таких параллелей привлечь индо-иран. гар «гора»? Ср. ягноб. гар «гора, перевал». Еще более неожиданным кажется сомалийское кар «скала»; «гора» — в языке кушитской группы в Африке; фин. и карел, karī «утес». У В. М. Иллича-Свитыча (1970, 340— 341) можно обнаружить много параллелей на уровне ностратических языков. Здесь среди других лексем, наряду с арм. кар, отмечены араб, кара «отдельно стоящая скала; холм»; египет. kpp «холм», др.-ирланд. саггас «скала, камень», груз, каркар «высокий утес», тюрк, кыр «гора, хребет, грань», монг. кира, хар, хара «гребень, возвышенность» и др. В топонимии Армении термин кар встречается обычно в словосложениях: н. п. Каракерт (აბრაამიანი 1982, 82).

გ. ს. აბრაამიანს და ე. მ. მურზაევეს მოჰყავთ მასალა, როგორც ვნახეთ, გ. ა. მელიქიშვილის ნაშრომიდანაც „Урартский язык“. მითითებულია სიტყვა **კარბი** რუსული ტრანკრიფციით კარბი. ქართ. „კარი“. ხომ არ არის ეს ფორმა ამოსავალი ქართული კარ-ეზ-ისთვის, რომელშიც დღეს **ებ** მრავლობითის მაწარმოებელადაა გაგებული? ვოკალიზება ხომ არ მოხდა მეორეჯერ ძირში? იქნებ სწორედ ამას ემყარება დღევანდელი მიუღებელი გრამატიკული ფორმა კარ-ეზ-ეზი, რაც ორმაგ ეზიან მრავლობითადაა გაგებული?

სომეხი ენათმეცნიერები, როგორც ვხედავთ, **კარ** ძირს აკავშირებენ ქართულ **ყორესთანაც**. გამოდის, რომ სამივე სკენელის ერთიანობის გამომხატველ ქართულ ლექსემა **სა-მ-ყარ-ო-საც <სა-მ-ყორ-ე/სა-მ-კარ-ო** - კლდე სდებია საფუძლად და სიმაგრის აღმნიშვნელ ზედსართავ სახელადაც ქცეულა. მთელ ქათველურ სივრცეშია დადასტურებული ორივე ფუძე და ჩვენი წინაპრების მსოფლადქმა შესაბამისობაში მოდის მაცხოვრის სიტყვებთან: „ამას **კლდესა ზედა ადგაშენო** მე ეკლესიად ჩემი...“ (მათე 16,18); დღევანდელ საქართველოში, გორის მუნიციპალიტეტში არის სოფელი **კარბი** (ქსე 5, 1980, 395).

კარ ფუძეს განიხილავს რ. გორდუზიანიც. მას მოჰყავს ფურნეეს თვალსაზრისი (VK 50) ბერძნულ **κάραβος** - სთან დაკავშირებით და მის გამამყარებლად მიიჩნევს (ქველ 260-ის) მონაცემებს. მეცნიერს საკმაოდ მაცდუნებლად მიაჩნია ქართ. **კარ-ეზი** ფორმატივში დადასტურებული **-ებ** მაწარმოებლისა და ძველბერძნული **-αβ-**ის ერთმანეთთან დაკავშირება; **კარ** ფორმატივი განხილულია ბერძნ.**κάρχαροι-** „უკანა კბილებთან“ დაკავშირებითაც (გორდუზიანი, 2007: 181, 183). აქედან მომდინარე ჩანს ქართული მოქმედების აღმნიშვნელი ფუძეგაორკეცე-

ბული სიტყვა **ხარხარი** (**კარკარი**) - ანუ უზომო სიცილი უკანა კბილების გამოჩენამდე, შდრ. იონე IV მმარხველის, კონსტანტინეპოლელი პატრიარქის (582-595წწ.) მიმართვა მონაზვნებისადმი: „დაე, შენი სიცილი იყოს ღიმილი მშვიდი, არ იხარხარო, თავს მოერიე, კბილებს ნუ აჩე“, (თარგმანი ქ.ჯ; ნ. პ.).

VI ს-ის ბოლოს და VII ს-ის დამდეგს ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი ქვეყნისა და ხალხის აღსანიშნავად ოფიციალურად ქართლი რომ გამოიყენეს, მაშინ როდესაც სხვა სიტყვებიც არსებობდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველები მართლაც თავისად თვლიდნენ მას და ამაში სრულიად ვეთანხმებით დიდ მეცნიერს გ. მელიქიშვილს.

დავუბრუნდეთ მითოლოგიებს.

ქრთ ძირი შუამდინარულ მითოლოგიაში:

შუამდინარულ მითოლოგიაში სივრცეს ვერტიკალზე ქმნიან უკიდუგანო დაბლობზე აღმართული უზარმაზარი ტაძრები - **ზიქქურათ-ები**, შუემერულად **უ-ნირ-ი** (ეს სიტყვაც გვაქვს ქართულში **უნარ-ის** სახით; უნარის ქონა სწორედაც ნიშნავს კავშირის დამყარებას უხილავად, გონებით, სულიერად, მისტიკურად ქ. ჯ.), რომელნიც თავიანთ ლოკალში „დიდი სვეტის-**დიმ გალ-ის**“ და მიწისა და ზეცის კავშირის „**დურ-ან - ქი-ს**“ განსახებებს წარმოადგენენ და ყოველ კერძო ადგილს დედამიწის შუაგულად აქცევენ. სიტყვა **ზიქქურათი** მომდინარეობს ბაბილონური სიტყვიდან **sig-guratu** — სიმაღლე, მთის წვერი, სიტყვასიტყვით, „აღმართული, „მაღლად აგებული“. სანამ **ზიქქურათები** აღმართებოდა, მოხდა განწვალება ენლილის - „ჰაერის უფალი“ - მიერ, მაგრამ **ენლილი** აერთებს კიდევაც მათ, ამიტომ ის ადგილი, სადაც განწვალება მოხდა, საკრალურია, იქ იგულისხმება **დურ - ან ქი** - სამყაროს დიდი სვეტი და ცისა და მიწის კავშირი. **დურ** - კავშირი **ჭიპსაც** ნიშნავს. ჭიპს კი ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ზ. კიკნადის თხრობას ჩვენ დავამატებთ იმას, რომ **დურ** ლექსებშია წინა აზიაში შემდეგ კარის მნიშვნელობაც შეიძინა. ასირიულად **dur** აღნიშნავდა ციხესიმაგრესაც და სამეფო კარსაც. **Дур-Шаррукин** - ასე ერქვა სარგონ II-ის (-722—705 წწ.) მიერ (-713-707 წწ-ში) აშენებულ ქალაქს (Флитнер, 1958: 60); **თურ** კი შუემერულში აღნიშნავდა „ბოსელს“. **dur**-ის ხმოვანშეცვლილმა ვარიანტმა მოგვცა კარის სემანტიკა ძველ ირანულში **duar** და მისგან მომდინარე ახალირანული **dar** (არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი, 1975: 90), ძველებერძულში

გვაგს **ბნჲჲ, დორ. ბნჲა** -1. კისერი, 2. ყელი, საყლაპავი მილი. ყელი კი თავისი მნიშვნელობით სწორედ გასასვლელს, გადასასვლელსაც (საჭმლის) ნიშნავს ქართულად, ხოლო მომიჯნავე სემანტიკით, გეოგრაფიულად სწორედ გასასვლელ კარს...

აქედან დასკვნა, რომ **დარი-ალ-ი** სასანიდური ეპოქის ტოპონიმია, თარგმანი უფრო ძველი ჰიერონიმ/ტოპონიმისა და მასში უნდა იგულისხმებოდეს მართლაც ზეკარი/ღმერთების (ალ-ეზ-ის) კარი და არა „ოგსთა კარი“.

სწორედ ამ ადგილას, როგორც ზ. კიკნაძე გადმოგვცემს, დიდი ღერძისა თუ ტაძრის ადგილას, რომელსაც **ეთემენ-ან-ქი** - „ცისა და მიწის შესაყარი“ ერქვა **შუამდინარეთში**, ხორციელდება ყველაზე მჭიდრო კავშირი მიწიურ და ზეციურ სფეროებს შორის და ამავე დროს მეტი პოტენციური სიფართოვეც აქ არის, ვინაიდან აქედან დაიწყო ცისა მიწის განწვავლება, ანუ სივრცის გაფართოება. ამ აზრით, ტაძარი ყველაზე ფართო ადგილია. აქ ხორციელდება დროის მითოსური უკუქცევა. აქ მუდამ ახალი ძალით მოქმედებს ის იმპულსი, რომელიც ჟამთაგვლის დასაწყისში განხორციელდა. ტაძარი ეს სრულიად განსხვავებული დრო და სივრცეა. ამაში მდგომარეობს „ცისა და მიწის ჭიპის საკრალურობა“. სამყაროს ჭიპი შუმერია, შუმერში ქალაქი **ნიპური**, ხოლო ნიპურში - ტაძარი, ტაძარში - საკურთხეველი.

ზიქქურათებს მთის ასოციაცია უნდა გამოეწვიათ, სადაც ტაძრის აგების შესაძლებლობა არ იყო, იქ თვითონ ბუნებრივი მთის წვერი ასრულებდა ტაძრის ფუნქციას. „გილგამეშის ეპოსის“ XI დაფის მიხედვით, ერთადერთი გადარჩენილი კაცის კონტაქტი ღმერთებთან **ნიცირის მთის** ბუნებრივ მწვერვალზე ხორციელდება. ტექსტში მას ჰქვია **ზიქქურათ-შადი** - მთის ზიქურათი (კიკნაძე, 1979: 114-120).

იტალიელი მეცნიერი დონინი წერდა: უთანაფიშტიმის კიდობანი მოადგა **ნასირის** მთას (ნოსირი სოფელია საქართველოში, ქ. ჯ.), რომელიც მოსულისა და ტიგროსის აღმოსავლეთით მდებარეობს, თანამედროვე **ქურთისტანში**, **შუმერების სამშობლოში**. ის რომ წარღვნის ლეგენდა დაკავშირებულია კავკასიიდან მოსულ ამ უძველეს ეროვნებასთან, მოწმობს ბიბლიურ გადმოცემაში მოხსენიებული არარატის მთა (დონინი, 1965: 138). ნიშანდობლივია ისიც, რომ ბერძნები და რომაელები იქ მცხოვრებ ხალხს უწოდებდნენ ბერძნ. **Κύρτιοι/Κυρδοί**, lat. **Cyrtaei (Cyrthii)**, **δρῦμт. киртии, народность в Мидии и Персии**

(*предпол., предки нынешних курдов*) L. (Дворецкий, 1976: 160) L-ში იგულისხმება ტიტუს ლივიუსი (-59 +17). **Cyrtaei** - ქირთები/ქურთები, მთის მცხოვრებნი, სიმახაცით განთქმულნი. მეგრ. **კირდე/კვრდე**; *კლდე>*კრდე>კირდე (ქექელ, 187).

ბერძნული მითების თანახმად, სამყაროს ჭიპი იყო იქ, სადაც შემდგომ დელფოსის ტაძარი აშენდა, ამიტომაც ინახებოდა იქ ქვა - ომფალო **τῷ μυστήριον** -ჭიპის ქვა. სოფოკლეს „ოიდიპოსში“ დელფოს ტაძარს ჰქვია სწორედ „**სამყაროს ჭიპი** და ამას აღნიშნავს სოფოკლე ტრაგედიაში „ოიდიპოსი“: **480.** „ნამისნს გაურბის მიწის ჭიპისას“; **499.** „ველარ ვეწვევი სათაყვანებლად მიწის წმინდა ჭიპს, (სოფოკლე, 1988: 43. 66); ოვიდიუსის „მეტამორფოზებში“ კი მას ჰქვია - „გრძელი სეგტი“: I 255. წმინდა ეთერს ცეცხლი ამგვარო გადაბუგავდა და გრძელ ღერძსაც მოედებოდა“ (ოვიდიუსი, 1980: 48), (ნაწვეეტები მოყვანილია ჩვენ მიერ, ქ. ჯ., ნ. პ.). მეორე ვერსიით, სამყაროს ჭიპი იყო კუნძული **დელოსი**, აპოლონის შობის ადგილი.

მაშასადამე, ზიქ-ქურათი ნიშნავს **ღვთის დავანების ადგილს, სამყაროს ჭიპს, ზეკარს, ღვთის კარს**. ამ უძველეს ბაბილონურ **sig-guratu** -ს დიდად ჰგავს მოგვიანო პერიოდის სანსკრიტული ზმნა და კიდევ სხვა სემანტიკური ერთეულები:

kar (U. pr. **kar`oti/kurut`e** - VIII; fut. kariSy`ati/kariSy`ate; pf. cak`aara/cakr`e; aor. `akaarSiit`akR`ita; p. kriy`ate; pp. kR`it`a) - კეთება, სრულქმნა, განხორციელება

ასევე:

kart (P. pr. kR`iNtati - VI; fut. kartiSy`ati; pf. cak`arta; aor. `akartiit; pp. kR`itt`a) 1) резать, разрезать; 2) перегрызать; разгрызать

kart`ar m ქართალი?1) создатель, творец, деятьель, вершитель; 2) автор, составитель 3.грам. субъект действия 4. жрец

kartar –разрушитель

I kart – 1.отсекать, отделять 2. резать, разрезать

II kart –прясть

I karta m.– отделение, разлука

II karta m.– 1.Яма, нора 2 отверстие, дыра 3 впадина

kartar m. – жрец

kartari f. 1 ножницы 2 нож, кинжал

kartra n. – обаяние очарование (ქათრა/ლადრა?ხატოვანი თქმა „ველს ილადრავს“, ანუ იტრის, იხვეწება? ქ. ჯ.)

kīrti [kiirti] f известность, слава (Кочергина, 1987: 152).

სანსკრიტს (დევანაგარი-ლეთაებრივი), ანუ დამუშავებული, ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებას მეცნიერები ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლო – I საუკუნის შუაზე, ვარაუდობენ (Бонгард-Левин, 1985, 23). ანუ ეს უკვე გვიანი ბრინჯაოს ხანაა.

კართაგენი

ქრთ-ძირს უკავშირდება უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფინიკიური ტიროსის კოლონიის სახელი სმელთაშუა ზღვაში, აფრიკის ჩრდილო სანაპიროზე, სადაც ყველაზე მეტად უახლოვდება აფრიკის სანაპირო კუნძულ სიცილიას - **კართაგენი**: ფინიკ., **Qart-hadašt** -ახალქალქი ეტრ. **Caruaza**, ლათ. **Carthago**, ბერძნ. **Καρθηδών (Qart)**. ქალაქის დაარსების თარიღად ითვლება -814, ან -825 წ. დაარსებულა რომზე 72 წლით ადრე. ზოგი ვერსიით კი - ტროას ომამდე 50 წლით ადრე; **მენანდრე ფევსელის** მიხედვით, კართაგენი დაარსებულა იერუსალიმის ტაძრის აშენებიდან 143 წლის შემდეგ.

ტოპონიმის სახელწოდება **კართაგენი წერილობით წყაროებში** კლასიკური პერიოდიდან, -V ს-დან ჩნდება. კართაგენის მონეტებზე იწერებოდა ბარსა, იმ მთის სახელი, რომელზეც გაშენდა კართაგენი. გარდა ამისა, ზღვური სივრცე კართაგენსა და სიცილიას შორის სწორედ კარის შტაბუქდღებას ტოვებს.

მითი ასეთია:

კართაგენი ტიროსის მეფე ბელის ასულმა ელისე-დიდონამ (ასე ეძახის მას ვერგილიუსი) დაარსა. ის იყო ბელის მემკვიდრე პიგმალიონის და. ელისე-დიდონა ცოლად გაჰყვა ჰერაკლე-მელიკერტეს ტაძრის ქურუმსა და ამავე დროს ბიძამისს - ახერბს (სიქეის-ვირგილიუსის მიხედვით). პიგმალიონის ბრძანებით მოკლეს ახერბი-სიქეოსი. ამის შემდეგ ელისე-დიდონა გაიქცა მომხრეებთან ერთად ტიროსიდან და აფრიკის სანაპიროსზე მისულმა ადგილობრივი მავრ ხელისუფალ ჰიარბას-გამ მიიღო თანხმობა ბარსას მთაზე დამკვიდრებულიყო. ჰიარბამ შემდეგ დიდონაზე **დაქორწინება მოისურვა, დიდონამ კი ამ ქორწინებას სიკვდილი არჩია და კონზე დაიწვა თავი.**

ქრთ/კრტ ძირს შეიცავს ასევე ფინიკიური ქალაქ-სახელმწიფოს, ტიროსის - (ფინიკ. **სურრუ/სორ** (ყორ?) „კლდოვანი კუნძული“ (ბერძნ. Τύρος, მომდინარე არამეულიდან **თურა**, ბიბლ. ც(წ)ორი კლდე/კლდოვანი: 2, მეფ. 24, 7; 5, 11; 3 მეფ. 5, 1) (Нюстерем, 1998: 448-450). - მფარველი ზღვაოსნობის შემწე ღვთაების ჰერაკლე-მელიკერტის სახელი. **Μελι-κέρτ-ης** ელინიზე-

ბული ფორმაა ფინიკ. **Milk-Qart**,-ისა და აღნიშნავს ქალაქის - **Qart**-ის მეფეს, ბატონს, პატრონს.

კლასიკური პერიოდის ბერძნებს **Q** ბგერა აღარ ჰქონდათ და მის ფუნქციას ასრულებდა **K**, რომელიც **O**, **U** ხმოვნების გვერდით გამოითქმოდა **ყ**-დ, სხვა ხმოვნებთან კი - **კ-დ**, (გამყრელიძე, 1989: 84). ტვიროსის მეფეთა სიები - XIV ს-დან იწყება. **ჰეროდოტეს** მიხედვით, ქალაქი დაარსებულია - XXVIII ს-ში, ზოგი ვერსიით - ტროას ომამდე, ზოგით - შემდეგ (Беляев..., 2013, 426-445)...

ცნობილია კერეტეს უგარიტული ეპოსიც (II ათასწ. შუა წწ.). კერეტე ღმერთ ელის ძეა და ხუბურის ხალხის მეფე და მეთაური (Шифман, 1983: 130-137).

Kieretti ყოფილა დასახლება და მდინარე კარელიაში (რსფსრ). ფიქრობენ, რომ სიტყვა მომდინარეობს **საამების** სიტყვიდან **гiera** და ნიშნავსო „მწვერვალს“, „წვერს“, ან კიდევ ამავე ენაში ნავის მსგავსი თხილამურების სახელიდან მოდისო „keret“ — керетка (Опарин, 1972: 99—106).

ყოფილა აგრეთვე **ტომი Карлар— კქარდ(თ)არ (ლ)ები** ანიმალის მთებში (სამხრეთ ინდოეთი, კომიმატორის ოლქი) - დამოუკიდებელი, მარტივი, უბრალო და მეთაურთა მორჩილი ხალხი, მკვრივად აღნაგნი, საქმიანი, ტალღოვანი თმითა და რამდენადმე აფრიკული სახის ნაკეთებით ((ЭСБЕ: <http://www.brocgaus.ru/text/048/301.htm>)

კარდაკის დორიული ტაძარი ყოფილა ქალაქ **კორფუში** თუ **კორთუში**, რომელიც 1822 წელს აღმოუჩენიათ ინგლისელებს. ტაძარი პირობითად დათარიღებულია -510 წლით და სახელს ატარებს წყარო **კარდაკის** მიხედვით. სამლოცველო აპოლონის თუ პოსეიდონისადმი მიძღვნილი (https://www.votpusk.ru/country/dostoprим_info.asp?ID=10899)

შორს რომ არ წავიდეთ, **კარატაელები** ჰქვიათ ჩრდილო კავკასიის მკვიდრთაც, დასავლეთ დაღესტნის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრებთ (როლანდ (თოფჩიშვილი, 2012). კარატაული ენა ნახურ-დაღესტნურ ენათა შტოს ანდიურ ქვეჯგუფს მიეკუთვნება.

Картаэль -ყოფილა დასახლება კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში (რსფსრ) (http://www.admizhma.ru/ru/page/o_rayone_4.naseljonnye_punkty.kartael/)

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, რომ აქად. ქრთ*ძირი*, ბაბილ. *sig guratu* - სიმაღლე, სულ მცირე -III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან მაინც ცნობილი, აღმნიშვნელი სიმაღლისა, ტაძრისა, კოშკისა, როგორ ქცეულა ქალაქის, გორაზე გაშენებული ქალაქის, სამეფო კარის აღმნიშვნელად.

ქალაქ კართაგენის „ნათესავია“ ფრიგიის დედაქალაქი გორდი-ონიც, მითიური გორდიასის მიერ დაარსებული. რომაელებს იმპერატორებიც ჰყავდათ სახელად გორდიასი. გორდიონის მოსახელე უნდა იყოს ასევე კრეტაზე მდებარე ქალაქი გორტინაც *Γόρτυς, Γόρτυνα*, რომლის წარმომავლობასაც ჰესიხოსი მინოსურ სიტყვა *karten*-თან აკავშირებდა, რაც ძროხას ნიშნავს. თანამედროვე მეცნიერება მას აკავშირებს წინაინდოევროპულ ლექსემასთან *g^hord^h*- ქალაქი¹(Fred C. Woudhuizen, 2013: Vol. 63. P. 5—11). *Γορτυνία* - ქალაქი მაკედონიაში (Дворецкий, 1958:331). ჩორტონა - ასეთი ქალაქი ყოფილა ეტრურიაშიც (იტალია) (Дворецкий, 1976);

რ. გორდეზიანი KO 143-ზე დაყრდნობით მიუთითებს ქართულ ტოპონიმებზე კორტანეთი (მესხეთი); კორტი (რაჭა), კორტოხი (აჭარა). მეცნიერის აზრით, მისი მნიშვნელობა შემოგვინახეს ქართულმა დიალექტურმა ფორმებმა: „კორტი - მაგარი, გაუტყეხელი ადამიანი, ამაყი, ზვიადი“. მისი აზრით, კორტი მიღებულია *კერკეტ ფუძიდან, რომელიც ქართულ-ზანური ერთიანობის დონისთვის აღდგება (გორდეზიანი II, 2007: 326).

გორდიასის მითი:

ფრიგიელი გორდიასი ბერძნ. *Γορδύς, Γόρδιος*,*ლათ.Gordias, Gordius*) მიწათმოქმედი იყო. ფრიგიელებმა მეფე როდესაც გადააყენეს, მისნის რჩევით, მეფედ უნდა დაესვათ ის, ვინც პირველი შემოხვდებოდათ გზაში. ეს პირველი გორდეასი აღმოჩნდა თავისი ურმით. მან დაარსა თავისივე სახელობის ქალაქი, კელე-დანაპოლიტიკურ-კულტურულ-რელიგიური ცენტრი იქ გადმოიტანა. ააშენა ტაძარი, თავისი ურემი დადგა შიგ და უღელს ურთულესი კვანძი გაუკეთა. მოგეხსენებათ, ხონის მუნიციპალიტეტში გვაქვს ტოპონიმი გორდი, ხოლო, გორში - ქორდი.

კარი და მისი სემანტიკა

სამყაროს ჭიპი ამავე დროს კარიბჭეც გახლავთ, თაყვანი-სემის საგანი და დაცვის ობიექტი. ტაძრებამდე კარი ღირვადებული ორი სვეტის სახით წარმოადგენდა საკრალურ სიმბოლოს. სწორედ ეს მნიშვნელობა ჰოქნდა ჰერაკლეს სვეტებს.

ცისთალის შემკავებელი ატლანტიც მეკარიბჭედ მოიაზრებოდა. იყო ოლიმპოს კარი, მელეკარტის კარი, ბაბილონის კარი. იერუსალიმს ჰქონდა ოქროს კარი, საიდანაც უნდა შესულიყო მესია.

სპარტელები მთავარ ქალაქში შესასვლელ ჭიშკარს უწოდებდნენ **პოლიდევეკესა და კასტორის** კარს (ცხუმისთვისაც მისი საზღვაო კარიბჭობიდან გამომდინარე, უწოდეს ალბათ **დიოსკურია**). აქედან შესვლა სიმბოლოზდებოდა როგორც ომში გამარჯვების ტრიუმფი. ასეთ დროს ხან მხოლოდ დროებითი კარი იჭრებოდა, შემდეგ კი ისევ იგმანებოდა. ამით ხაზი ესმებოდა ტრიუმფატორის მნიშვნელობას ქალაქისათვის. რუსეთში პეტრე პირველის დროს დაიწყო ასეთი ტრიუმფალური თაღების აღმართვა.

ანტიკურობაში კარი დუალისტური სიმბოლო იყო. ძველ რომში კარისა და კარიბჭეთა ღმერთს ორსახოვანი **იანუსი** წარმოადგენდა. რომის კარიბჭეებში გავლა იყო სიმბოლო ინიციაციისა და ბოროტებისაგან განწმენდისა. რომაელებმა ეტრუსკების გავლენით შეითვისეს ზღურბლისა და თაღის მისტიკა, სხვა განზომილებაში გადასვლის მისტიკა. კარის სვეტები მოიაზრებოდა როგორც ქვეყნიერების ღერძი, მსოფლიო ხე, თაღებს კი ჰქონდა ზეცის მნიშვნელობა.

რომაელებს ღმერთ იანუსის გარდა, ჰყავდათ კიდევ მეკარიბჭე ქალღმერთი კარნა/კარდა/კარდე/ქართა/ქართვა (Штаерман, 1991: 278)

Carda (Cardea), ae f [cardo]

Карда, римск. богиня дверных петель, კარის ანჯამების და ოჯახის კერიის მცველი. хранительница домашнего очага (празднества в её честь происходили 1 июня) Escl (Дворецкий, 1976: 157).

კარდა/კარნას შესახებ ოვიდიუსის ფასტების VI წიგნში ვკითხულობთ:

101. შენია პირველი დღე, კარნა (კარდა)!
ძველი ქალღმერთი ანჯამებისა,
ნებით თვისით განხშავს და დახშავს.
უკუნისიდან ებოძა ძალი ამგვარი -
დაფარული საუკუნეთგან,
მაგრამ ჩემი ლექსებიდან შეიტყობთ ამას (ბწკარედი ქ. ჯ.)
მისი რუსული თარგმანი იხ. (Публий Овидий Назон, 1973).

ლათინურ-რუსულ ლექსიკონში ქალღმერთ კარდა/ქართას ამოსავალი ლექსემა თავისი სემანტიკური ველით ასე გამოიყურება:

cardo, inis m

1) дверной крюк, дверная петля: cardinem vertere (versare) V, O отворить дверь; с. masculus Vtr шип, цапфа; - ეკალი, შვერილი с. femina Vtr гнездо, отверстие;

2) страна света: с. caeli Vr или mundi Col, PM полюс; с. duplex C оба полюса, мировая ось; quattuor cardines mundi Q четыре страны света;

3) демаркационная линия с севера на юг (в отличие от limes decumanus, линии, проводившейся с востока на запад) L;

4) время (года), пора: с. anni PM летнее солнцестояние; cardines temporum PM времена года;

5) пояс, зона: с. frigoris Eccl холодный пояс;

6) точка вращения, ось, центр (quodam cardine versari VM);

7) пора жизни: с. extremus Lcp старость (Дворецкий, 1976: 157).

ლათინურ ცარდო, inis m-სთან ახლოს დგას ძველბერძნული ლექსიკური ერთეული:

καρδία, ელ.-იონ. καρδία и καρδίη, тж. (в начале стиха) καρδίη ἢ 1) сердце: κ. ἕξω στήθεος ἐκθρόσκει Hom. сердце (так и) рвется из груди; πηδῆ ἢ κ. Plat. сердце учащенно бьется; 2) (как средоточие чувств и страстей) сердце, душа (οἱ καθαροὶ τῆ καρδίᾳ NT): οἰδάνεται κ. χόλω Hom. сердце наполняется гневом; ἐκ καρδίας φιλεῖν Arph. любить всем сердцем; θερμὴν ἐπὶ ψυχροῖσι καρδίαν ἔχεις Soph. у тебя пламенное сердце в делах, которые (других) бросают в холод; τὰ ἀπὸ καρδίας λέγειν Eur. говорить чистосердечно; ὡς ἄνοον καρδίην ἔχεις! Hom. как ты забывчив!; 3) чувства, настроение: τὸν νέον τίνα οἶεi καρδίαν ἔχειν; Plat. каково будет настроение, потвоему, у юноши?; 4) желание, намерение: μόλις καρδίας ἐξίσταμαι Soph. я неохотно отказываюсь от своего намерения; 5) верхнее отверстие (вход) желудка Thuc.; 6) внутренность, середина, сердцевина (τοῦ φυτοῦ Arst.; τῆς γῆς NT) (Дворецкий, 1958: 875).

ბერძნული ლექსემა ბეეკესთან ინდოევროპული წარმომავლობისად არის მიხნეული (Beekes R. Etymological Dictionary of Greek, 2010: 644); ამ ძირებზე ძველბერძნულში გვაქვს კიდევ ბევრი სხვა საზოგადო თუ საკუთარი არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები. ლექსემა უძველესი დროიდან დღევანდელამდე ყველა ენობრივ სივრცეში უაღრესად ცოცხალი და

ქმედითა. ასეთი პროდუქტიული ძირი ჩვენ სხვა არც კი გვე-
გულება.

**ბიოლოგები ამბობენ, რომ ნებისმიერი ცოცხალი ორგა-
ნიზმის წარმოქმნა გულის ქსოვიტ იწყება.** გული ნიშნავდა
როგორც ადამიანის უმთავრეს ორგანოს, ასევე უამრავი რამის
ცენტრს, სამიზნეს, შუა ნაწილს. მაგალითად, შუმერულად
„ურუ“ ქალაქს ნიშნავდა, აქედურად - „საშოს“, სანკრიტულად
კი - „სიფართოვეს“. ივარაუდება მათი კავშირი დედაქალაქის
მითოსურ „საშობობასთან“ (კიკნაძე, 1979: 116). ასე აზროვნებდა
უძველეს დროს ადამიანი, ასე ხდებოდა მაშინ ერთი სემანტი-
კური ერთეულის განტოტვა ენაში. ასეთსავე გზას გადიოდა
ერთი ენის სიტყვა მეორე ენაში გადასვლისას თუნდაც მომიჯ-
ნავე სემანტიკით. დიდი განსხვავება არც ახლა გვაქვს ამ
თვალსაზრისით...

დაეუბრუნდეთ კარიბჭეს: ბერძნები იცნობდნენ ჰელიოსის
ოქროს კარიბჭეს, რომელსაც ვარდისფერითიება ეოსი ადებდა.
ჰომეროსის „ოდისეა“ საუბრობს სიზმრების ორი კარიბჭის შე-
სახებ (19: 562).

შუმერულ მითოსში მკვდართა სამეფოს შვიდი ჭიშკარი
აქვს, ევროპულში - ცხრა. ეს მეცხრე ჯოჯოხეთისა, როგორც
დანტე აღგვიწერს, ყველაზე ვიწროა (დანტე, 1967: 384-528). შუა
საუკუნეების კათოლიკურ სამყაროში იყო ე. წ. განწმენდის კა-
რიბჭენი. მათში გავლის შემდეგ ადამიანი ცოდვებისაგან სრუ-
ლად განიწმინდებოდა. უსსოვარი დროიდან **კარიბჭე** საკულტო
ადგილი, საქვეყნო საქმეთა განსჯის ადგილიცაა.

ურარტუელებსაც ჰქონდათ საკულტო ადგილი **ხალდის**
კარი - ჰალდეი შემტილე, ურარტუს არმენიზების შემდეგ კი
მოხდა ხალდის სინკრეტიზება ირანულ მითრასთან და ჰალ-
დეი შემტილე იქცა „**მითრას კარად**“ - **მხერიდური**“ (გამსა-
ხურდია, 1995: 20).

ბარემ აქვე ვიტყვით, რომ XIX ს-ის ბოლო პერიოდის მეც-
ნიერები ქვეყანა ურარტუს უმაღლესი დეოთაება **ხალდის** სა-
ხელს აიგივებდნენ ბერძნული წყაროების **καλδαίσι** -სთან. მარ-
თლაც დიდი ცდუნებაა, საქართველოში მისი სახელი დაკავ-
შირდეს **ქრთ ძირთან, ქართუფუძესთან**, მით უფრო რომ გვაქვს
ტოპონიმი **ხალდე** და ანთროპონიმები: - **ქალდანი, ქარდავა/**
გალდავა; ასევე დიდია **ცდუნება ხალდე>კალდე-სგან** მივიღოთ
ქართული საზოგადო სიტყვა **კლდე**. **ურარტუელთა დმერთი**
ხალდე სწორედ კლდიდან იბადებოდა (ქ. ჯ.) ... **კლდის** შე-

სახებ მასალა იხ. (ქველ 187; ЭСКЯ 113)... თუმცა, ეს მოსაზრება ურარტული ხალდისა და ბერძნ. *καλδαῖοι* - ს იგივეობისა უარყოფილია უცხოელ მეცნიერთა მიერ (Нюстрем, 1998: 26).

ასეა თუ ისე, ბაბილონის სამეფოს მკვიდრნი, სობრძნით განთქმულნი, საკუთარ სამეფოს აქადურად *Karduniaš* -ს (ქარდუნიაშ-ს) უწოდებდნენ და მათი სახელი შემდგომ ქურუმის, ჯადოქრისა და ვარსკვლავთმრიცხველის აღსანიშნავად იქცა. ქართლოსის მიერ ქართლის დაარსების მსგავსად, ბაბილონის სამეფოს დაარსების ისტორიაც -II ათასწლეულიდან იწყება (<https://ru.wikisource.org/wiki/ЭСБЕ/Вавилония>).

ქართველი მეცნიერი კ. ზ. გამსახურდია გამოთქვამს ვარაუდს, რომ უფლისციხის შემთხვევაში „უფალი“ ეს არქეტიპული ღვთაება სწორედ **ხალდი** უნდა იყოს, ხალდაების პირველადი გმირი, ეთნარქოსი იმავდროულად. ურარტულ ლურსმულ წარწერებში **„კურპალიტუ“** ანუ ხალიტუს ქვეყანა ნიშნავდა ხალდის მმოსავთა, მიმდევართა ქვეყანას. გამსახურდიას ჰიერონიმი **ხალდე** მაინც მიიჩნია იმავე ხალხის აღსანიშნად, რასაც აღნიშნავდა ბერძნ. **„კარდუ“ „კარდუონ“**, სადაც მოხდაო პირველი და მესამე თანხმოვნის შეცვლა ასიმილაციის გზით (გამსახურდია, 1995: 21).

ზორასტრიზმში ამ კარიბჭის როლს თამაშობდა ხიდი, **ჩინგანტას ხიდი** (Дорошенко, 1982, 20-21). რომში კი უმაღლეს ქურუმს ერქვა პონტიფექსი, ანუ ხიდით, კიბით დამაკავშირებელი ადამიანებისა ღმერთთან. აქედან გაჩნდა ქრისტიანობაში ზეწოდება **კიბეთადმწერელი**.

სხვათა შორის, მთელ ქართველურ სივრცეში ხიდის მნიშვნელობით (დამაკავშირებელი) გვაქვს მიდიურიდან ნამემკვიდრალი - **ბოგ-ირ-ი** და **ბაგ-ირ-ი** (ჯერვალიძე, 2015: 410).

ძველ ეგვიპტეში გარდაცვლილი ეგვიპტელის სულს ოსის-რისის სამსჯავროს შემდეგ „სამოთხეში“ გადასასვლელად (ეგვ. *Sht-j3rw-ლერწმის მინდვრები, ლერწმოვანი, მიწისქვეშა სამეფოს ნაწილი, მათი „სამოთხე“*) უნდა გაეგლო, **თოთის ჭიშკარი** (Рак, 2004: 18, 208, 280). **ეგვიპტეში კარიბჭის როლს ასრულებდა** ორი ბორცვი, რომელთა შორის მოქცეული იყო ნილოსის დაბლობი. დასავლეთით აღმართულ მთას ერქვა **მანუ** აღმოსავლეთით აღმართულს - ბახუ. ისინი იცავდნენ ღომის-სახოვან ღვთაებებს, რომლებსაც თავის მხრივ თვალყური ეჭი-

რათ მზის ამოსვლასა და ჩასვლაზე (http://the-symbol.ru/simvoli_drevnego_egipta.htm), ანუ კარიბჭეებში გავლაზე.

ძველევგვიპტური „**მკედართა წიგნების“** **„მიხედვით (XVII-XVI სს.)**, რომლის ზუსტი თარგმანია „შეგონებანი ნათელში გასვლისათვის“ და რომელიც პირამიდათა წიგნებისა (XXIV-XXII სს.) და სარკოფაგთა წიგნების (XXI-XVIII სს.) მოგვიანო ვარიანტია, საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდ გავიდეს სული ღმერთების ცაზე - **ხართ ნიტრზე**, ღმერთების შესაკრებელზე (Древнеегипетская книга мертвых, 2004: 114-141).

კარიბჭის მნიშვნელობაზე ეგვიპტეში და ზოგადად ძველ სამყაროში, მეტყველებს ის ფაქტიც, რომელსაც აღგვიწერს **ფილოსტრატე** (III ს.), ავტორი „**აპოლონ თიანელის ცხოვრებისა**“: ეგვიპტეში აპოლონ თიანელს (I ს.) მოუნახულებია **ჰიმნოსოფისტები** (შიშველ-მართლები), რომლებიც ცხოვრობდნენ ნილოსის მიდამოებში მაღალ გორაზე. „მათი სიშიშველე ისეთია, როგორიც მზესმიფიცებელი ათენელებისა...ეთაყვანებიან ნილოსს, ერთდროულად მიწასა და წყალსო. მათ არანაირი თავშესაფარი არა აქვთ. ღია ცისქვეშ ცხოვრობენ, თუმცა სტუმრებისთვის აქვთ **ჭიშკარი** ელეური სტოის მსგავსით“ (Филострат, 1985, 121).

ამრიგად, ეგვ. *ხართ ნიტრ*, შუმ. **ქა-დინ- გირა**, ბაბილ. (აქადური ენის დიალექტი) **ბაბ-ილ-ონ-ი (Bābili(m))**, ქართ. **ზეკარი**, ღვთის კარი და სპარს. **დარუ-ალ** -ან, სომხ. **მხერიდური** - ფარდი შინაარსის ჰიერონიმები გამოდის და ნიშნავს ღმერთების შესაკრებელს, რომელთაგან ზოგნი შემდეგ ტოპონიმებად იქცენენ.

ჭიპი, როგორც ვთქვით, ამავე დროს კარიბჭეც გახლავთ. კარს იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ მასთან ქართულ ენაში ძალიან ბევრი ლექსემა დაწვევილდა: ღვთის კარი, ცისკარი, ზეკარი, ღვთის კარი, არაგვის კარი, იბერთა კარი, ზღვის კარი, ბუნების კარი, ღებაის კარი, სამეფო კარი (დედაქალაქის მნიშვნელობითაც). სახლი არ მოიაზრება კარის გარეშე: სახლ-კარი, კარმიდამო, საკარმიდამო; საკართანო-სადღევრძელო - კართან დასალევი. ძველ ქართულში კარს ენაცვლება საქანელიც, ოღონდ ძირითადად წარღვანასთან დაკავშირებით. კარის სინონიმად „ვეფხისტყაოსანში“ ერდო გვაქვს: 403. „სიმიძილთა ერდო დახაშ, სიხარულის კარი აღი“; ერდო: სახლის (ან ციხის) სართულთა შემაერთებელი ხვრელი;

(სახლში ერდოდან ასვლა-ჩამოსვლა (მაგ. ალყის დროს) გასაჭირის მაჩვენებელია (ქეგლ).

ასე რომ, ქართული კარის სინონიმებია: საქანელი, ერდო, ხერელი და აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებში დამკვიდრებული **ყელი:** „ყელებ შაკრულა მთებისა“, ყელებ გადავლეს მთებისა“; **სგან.** ყორ, ყორნიყორ - კარდაკარ; **მეგრ.** კარი - კარი; კარაია -ხუხულა, პატარა კარავი.

კრტ პირთან დასავლურ სივრცეში დაკავშირებულია კუნძული კრეტაც, უგარიტის რას-შამრას წარწერების **კაპტორი** - ძველი ბერძნული მითოსის უმნიშვნელოვანესი პუნქტი, ზევსის შობის ადგილი. სახელწოდება კრეტა ბერძნებს კურეტებიდან გამოჰყავდათ, რაც ასახულია მის ლათინურ დაწერილობაშიც **curetis-idis** -კურეტელი, ანუ კრეტელი. კურეტები ძვ. ბ. **κουρητες** - რეას თანმხლებნი, მაგრამ ყოფილა ადგილობრივი კრეტელი ტომების **კრეტების** (კრეტეს მმოსველი?) სახელწოდებაც, რაც დაფიქსირებულია მიკენურ ტექსტებში **ke-re-ta-o;** შესაძლოა იყოს დვთაების, ან ღმერთის მოსახელე პიროვნების სახელიც (გორდუზიანი, 2009: 79, 285).

კრეტის უმთავრეს ქალაქ კნოსოსს ადრე კერატი რქმევია, მდინარის სახელი, რომელიც ქალაქს ახლოს ჩაუდიოდა (Предметно-понятийный словарь греческого языка. Микенский период, 1986: 142).

გასახსენებელია კერეტეს უგარიტული ეპოსიც (II აღასწ. შუა წწ.). **კერეტე** ღმერთ ელის ძეა. თუ გავითვალისწინებთ უძველეს კონტაქტებს, მიგრაციულ ტალღებს (გორდუზიანი, 1970: 173). მცირე აზიასა და კუნძულ კრეტას შორის, მოულოდნელი და გასაკვირი აღარაფერი იქნება.

სხვა შორის, რ. გორდუზიანი კრეტის შესახებ წერს: ძნელი სათქმელია, ბიბლიური, ებრაული **kaftor** და ეგვიპტური **keftiu** რამდენად აღნიშნავს კრეტას. მას უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია ფილისტიმელებთან მიმართებაში მოხსენიებული ბიბლიური **k'ērim** (ეზ. 25, 16; სოფ. 2, 5.) სახელის დაკავშირება კრეტასთან. კრეტის სახელწოდებაში შეიძლება გამოიყოსო **Кр-** ფუძე და **-იტ** სუფიქსადური ელემენტი, რომლის დართვასაც შეიძლება გამოეწვია ხმოვნის სინკოპე. ამ გზით **Кр** ფუძეს მეცნიერი აკავშირებს, როგორც „ქვის“, „კლდის“, ასევე „კარი“, „კარიბჭის“ აღმნიშვნრელ ეგეოსურ ფუძეებთან. გორდუზიანს უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია ამოსავლად ***კარ-**საერთო ქართული ფუძის მიჩნევა (ქართ. კარ-ი, მე-კარ-ე/მე-კრ-

ე, სვან. ლი-კრ-ე(ქეელ, 262), რომელსაც ქართველურ სივრცეში აქვს როგორც სრულსაფეხურიანი **კარ-**, ასევე ნულსაფეხურიანი **კრ-**ალომორფები. მის ნათესაობითის უძველეს ფორმად მიჩნულია **ეთ:** კრ-ეთ-/კრ-ეც (შდრ **კრეტ-საბმელი**) (სსაქე 301). კრეტის მდებარეობიდან გამომდინარე, მეცნიერს „კართა“, „გახსნილთა“, „გაღებულთა“ სემანტიკის მქონე ფორმატივთა დანახვა საკმაოდ რეალურად ეჩვენება (გორდუზიანი, 2007: 338-339).

შესაძლებელია თუ არა, მიეწერი ტექსტების ke-re-ta-i -ს შეხების წერტილი აღმოაჩნდეს მოგვიანო პერიოდის სანსკრიტულ $kR^{\wedge}ita$ - სთან („შექმნილი“, „წარმოქმნილი“ (pp. kar -იდან). ან სულაც kart - თან, (P. pr. $kR^{\wedge}iNtati$ - VI; fut. $kartiSy^{\wedge}ati$; pf. $caK^{\wedge}arta$; aor. $^{\wedge}akartiit$; pp. $kR^{\wedge}itt^{\wedge}a$) 1) ჭრა, გაჭრა *резать, разрезать*; 2) *перегрызать; разгрызать*. ან მათ უძველეს ვარიანტებთან, მტკიცებითი ფორმით ვერაფერს ვიტყვი.

ჩენ მხოლოდ მოკრძალებით აღვნიშნავთ, რომ ქართულში გვაქვს ფუძედრეკადი ზმნა კრეტ/კრიტა (ტ>ჭ, თავისი ველით) და არსებითი სახელები მა-კრატ-ელ-ი „მჭრელი“, „დანა“ და დუ-ქარდ-ი - „ორი დანა“. მაკრატელი ცნობილია ძვ. III ს-დან. დღევანდელი დუ-ქარდ-ის მსგავსი. თანამედროვე მაკრატელი ჩნდება VIII ს-დან (ქსე 6, 1983, 376). მაკრატლის წარმომავლობა დ. ჩუბინაშვილის აზრით, არაბულია, დუქარდისა კი - სპარსული (ჩუბინაშვილი, 1984, 485, 661).

რაც შეეხება კრეტ-საბმელს - აქ სვე-ბედის, ლობე-ყორეს მსგავსი კომბინაცია უნდა გვქონდეს, ანუ ერთი და იგივე სიტყვა - ფარდა (მონაჭერი) - უნდა იგულისხმებოდეს, ვინაიდან „საბმელი“ სწორედ დიდი მატერიის მოჭრილი ნაწილია ამა თუ იმ შენობის განსხვავებულ ადგილებში ჩამოსაკიდ-ჩამოსაბმელი. ადიშურ ოთხთავში კრეტსაბმელი ეზოს აღნიშნავს (დ. 25, 45), ოშკურ ბიბლიაშიც (ეზეკ. 40, 17). ეზოც ხომ დიდი მიწის მონაჭერია? ჩვენთვის დაუჯერებელია, კრეტ-საბმელი ბერძნ. **chonopeion**, შემდეგ ლათ. **conopeum** -იდან - „კოლოებისგან დამცავი ფარდა“ (პეტროზილო, 2011: 7) - მიღებულიყო. სიტყვა სულხანთან განუმარტავია.

კუნძული კრეტა ატლანტიდისკატასტროფის შემდეგად წარმოქმნილ, მატერიკისგან მოჭრილ კუნძულად მიიჩნეოდა. ისიც ფაქტია, რომ კრეტა **კარიც** არის ეგეიდისკენ და მთაგორიანი კუნძულიც; ზევსი დაიბადა დიქტის მთების გამოქვაბულში, შემდეგ კი მცირე აზიიდან მოტაცებული მეფე აგენორის ასუ-

ლი **ვეროპეც** სწორედ კრეტაზე მიიყვანა და მითის თანახმად, ასე დასდებია სათავე მინოსურ კულტურას...

ბიბლიის ენციკლოპედისტი ნუსტრემიც ბიბლიურ **კაფტორიმ**-ად მიხნევს ქვეყანას, საიდანაც ფილისტიმელები პალესტინაში მივიდნენ (იერემ. 44, 7; ამ. 9, 7). ბიბლიას კრეტის მცხოვრებნი წარმომავლობით ეგვიპტელებად მიაჩნია (შესაქ. 10, 14). ვარაუდობენო, რომ **კაფტორი** არის ან კუნძული კრეტა, ან ეგვიპტის დელტის ჩრდილო ნაწილი (Нюстрем, 1998: 198, 224).

არსებობდა ასევე ქალაქები: **ქართეა -Carthaea, aef** Карфея, *город на южн. побережье о-ва Кеоса РМ*; და იბერიის ნახევარკუნძულზე ფინიკიური კართეია-Cartēja, ae f (финик.)

Картея; ასევე კარდია - Cardia, ae f. Кардия, *город в Херсонесе Фракийском РМ (Дворецкий, 1976: 157).*

გადავიდეთ ირანულ მითოლოგიაზე:

ირანის დასავლეთ პროვინციებს, მათ შორის, ადრე დამოუკიდებელ ქვეყანა **ელამს** უძველესი დროიდან უადრესად მჭიდრო მტერმოყვრული დამოკიდებულება ჰქონდა შუა მდინარეთთან და იქ არსებულ სახელმწიფოებთან, რამაც, ბუნებრივია, ასახვა ჰპოვა მათ კულტურასა და ენაშიც. განსაკუთრებით კარგად ეს არშაკიდული პართიისა და სასანიდური ირანის ენაში გამოჩნდა. ზოროასტრული ტერმინების, მითიური პერსონაჟებისა და სიმბოლოების ლექსიკონი გაჯერებულია ჩვენთვის საინტერესო ძირებზე აგებული ლექსემებით:

1. **აღმადგენელი** ფეხლ. **frašgird kardār**; აღმადგენელთა შორის 15 მართლი მამაკაცია, 15- მართალი დედაკაცი. ისინი სოშიანტთან ერთად მკვდრეთით აღსადგომად შესწირავენ მსხვერპლს, დაკლავენ ხარს- ხადიშას - და მისი ქონისა და თეთრი ჰომასაგან დაამზადებენ უკვდავების სასმელს. მისი გემოს გასინჯვისას მართლები უკვდავნი გახდებიან საუკუნოდ. ადამიანები და აღმადგენელთა უკვდავი სულები პირველკაც გაიომართისგან იშვნენ (MX, XXVII 17) (Чунакова, 2004: 73).

2. **გონება, გონების სული** - ფეხლ. **xrad, ავესტ. xratav m.** ფეხლვეიდურ სამოძღვრებო ლიტერატურაში გვხვდება როგორც მორალურ-ეთიკური (და არა რელიგიურ-ფილოსოფიური) არაპერსონიფიცირებული ცნება. მოძღვრება შეიცავს გონების განმადიდებელ ტექსტებს, ვინაიდან „რწმენაში სიმტკიცე უჭკველად გონების დამსახურებაა, ზომიერებაც, ცოდნაც გონების დამსახურებანია (ВФ, 16-17) (Чунакова, 2004: 102, 179).

3.გეტიგ-ქრიდი – პაზ.. **gati.xriť** (სახელის პირველი კომპონენტი **gañmā-**, f. ავესტ. „მატერიალური არსებობა“; „ცოდვათგამოსყიდვა სიცოცხლეში“; სულის დასახსნელი ცერემონია ცოდვების გამოსასყიდად, განსაზღვრული ღოცვებისა განსაზღვრული წესებით კითხვის დახმარებით. ვინც სიცოცხლეში არ ღოცულობს, არ უკვეთს **gati.xriť** -ს, სამოსს არ გასცემს წყალობად, იმქვეყნად შიშველი აღმოჩნდება (ნდ, 70) (Чунакова, 2004: 85).

4. **გო-ქართი** პაზ.. **gōgrvadrht, gugrv. drht**, (ფეხლ. **gōkard** (gwklť), K 20.19.18 da svx.; **gōkam** (gwklń), K 20.64.3), ავესტ. **gaokorona-**, m. მითიური ხის სახელწოდება, მსოფლიო ხის გარიანტი. ის იცავს მშვიდობას და ადამიანს სიბერისგან (ნდ, 39). აღდგომისას და მშვიდობის დამყარებისას მისგან მოამზადებენ უკვდავების სასმელს (ნდ, 1, 55, 60), ამიტომ ის ითვლება ყველა მცენარის სათავედ (ნდ, 60), გაიგივებულია თეთრ ჰომასთან (ნდ, 60); ის, **გოქართი**, ყველა თესლის მომცველ ხესთან ერთად იზრდება ზღვის შუაგულში (ნდ, 1) და ამასთანავე არდევსურას წყაროსთან, **ფრახე-კარდ-ში** (ნდ, 60) (Чунакова, 2004: 86). ხომ არ აქვს **გოკარდს** კავშირი სომხური წყაროების **გუგარქთან**, სტრაბონის **გოგარენესთან?** (ფეხლ. **gōkard>გუგარდ>გუგარქი**, (ქ. ჯ.)

დ. მუსხელიშვილი გუგარებს ქართველ ტომებად მიიჩნევს (მუსხელიშვილი, 1978: 196). და ცხადია, ასეც იქნებოდა, ჩვენ მხოლოდ მათ ეთნონიმზე, არმენიზებულ ირანიზმსა და გრეციზებულ არმენიზმზე (ჩვენი აზრით) ვსვამთ კითხვის ნიშანს.

5. **იიმას შექმნილი** - **იიმაქარდი**– ფეხლ. **yimkard**, „იიმას მიერ შექმნილი“, სახელწოდება იიმას მიერ შექმნილი თავშესაფრისა წარღვნის დროს, საშინელი მარკუშანისგან ადამიანებისა და ორმუხდის ყველა ქმნილების გადასარჩენად (MX, XXVII 27-30). ეს იიმაქარდი - თავშესაფარი მდებარეობს **ერანევეჯაში**, **მიწის ქვეშ** და იქ შენახულია ყველა ქმნილების თესლი (MX, 69). მითითებაა იმაზე, რომ იიმაქარდშია ყველაფერი „საუკეთესო და რჩეული“. იქ ყოველ ორმოც წელიწადში „ქალისა და მამაკაცისაგან“ იბადება ბავშვი. იქ სიცოცხლე გრძელდება 300 წელს, ავადმყოფობანი და უბედურებანი კი ცოტაა (MX, 69), - რაც წარმოადგენს იიმაქარდის მითის გამოძახილს ღმერთის (იიმას) მიღმურ სამყაროში არსებულ სამყოფელზე. იქ ნეტარ არიან მართალნი. მას შემდეგ, რაც საშინელი წარღვნის შემდეგ ადამიანებისა და ორმუხდის სხვა ქმნილებათა დიდი

ნაწილი მოისპობა, იმქარდში გადარჩენილნი გამოვლენ იქედან და დაამყარებენ მშვიდობას (MX, XXVII 28-31) (Чунакова, 2004: 122).

6. ფრაშო-კერეტი

ზოროასტრული ესქატოლოგიის თანახმად, სამყაროს გარდაქმნის სურათი ასეთი იქნება „ყოფიერების ეტლის ბოლო მოსახვევში“, როდესაც იხეიმებს აშა - სიმართლე, ხოლო სიცრუე საბოლოოდ და საუკუნოდ იქნება განადგურებული - ეს დიადი წაში ფერისცვალებისა გადმოიცემა სიტყვით ფრაშ-კარდი „სამყაროს სრულქმნა“ (Чунакова, 2004: 75-76).

7. **ფრახგუარდი** ფეხლ. **fřāxwkard**, თარგმანი ავესტური სახელწოდებისა vouru. kaša-, Adj. „ფართო უბების მქონე, იხ. Варкаш (Чунакова, 2004: 234)

ეს ძირი გვაქვს ირანულ ონომასტიკონშიც:

გრამიქარდი – ფეხლ. grāmīgkard (gr̥myk kit). ირანულ მითოლოგიაში ჯამასპის შვილი, ქიონტიკებთან ბრძოლის გმირი (A3, 106, 107, 109, 111) (Чунакова, 2004: 88).

კრტ თანხმონებზეა აგებული სასანიდების დროს შაჰ ბაჰრამ II-ის (276 – 293) „მეფის სულისმცველის“, დიდი ქურუმის **კარტირის** (სანსკ. kartar m. - „ქურუმი“ (ქ. ჯ.) სახელიც.

სასანიდური სპარსეთის მეფეთაგან სამი ატარებდა **კარდის** შემცველ სახელს **იეზდიგერდი**: Yazad, Yazata- (დემერთი) и -karta (ქმნილი და) აღნიშნავს „ღვთივექმნილს“. იეზდიგერდ I (399-420) სპარსულ და არაბულ წყაროებში მოიხსენიება, როგორც ბოროტმოქმედი: **Bezeh-kar**, არაბ. **El-athim**, „ბოროტმოქმედი“; იეზდიგერდ II (440–457) და იეზდიგერდ III (632–651), ქართული წყაროები სამივეს კარგად იცნობენ.

Pahlavi Yazdekert, Syriac Yazdegerd, Izdegerd, and Yazdeger, Greek Isdigerdes (with variants), Persian Yazd(e)gerd and Yazdk(/g)ard, Talmudic Izdeger and Azger, Arabic Yazdeijerd (in a verse in (i>Aḡāni, Azdkerd), Armenian Yazkert, see Nöldeke, Geschichte der Perser, p. 72 n.3; Hübschmann 1876; idem 1895, p. 55; Justi, Namenbuch, pp. 184-89, 498; Gignoux, 1986, pp. 189-90

(<http://www.iranicaonline.org/articles/yazdegerd-i>)

სტრაბონი თავის „გეოგრაფიაში“ საუბრობს რა სპარსელ მოლაშქრეთა აღზრდის სისტემაზე, ახსენებს **კარდაკებს** და დასძენს, რომ მათი სახელწოდება სიტყვა **carda**-დან მოდის, რაც „სიმაძცესაა“ და „საბრძოლო სულიკეთებას“ აღნიშნავს (Страбон, 1964: 682).

კრტ ძირით გადმოიცემოდა ირანულში **სარწმუნოების ერთ-გული mitran-kartak** - ერთგული, მითრას მიმდევარი და კიდევ ბევრი სხვა კომპოზიტი.

კრთ,ხრთ ძირებს შეიცავს ისეთი მნიშვნელოვანი ფეხლევდიური წიგნები, როგორებიცაა: ზოროასტრული რელიგიური ცოდნის ფართო ენციკლოპედია:

1. **დენქარდი Dēnkard** - დენ. ფეხლ. **dēn**, ავესტ.**daēnā-**, ფ. 1რწმენა; **kard** -ქმნა- „რწმენის საქმენი“ 9 ტომად. პირველი ორი დაკარგულია (IX- X სს.); ავტორები აღურფარნბაგ ფარახზადანი და აღურბად უმედანი.

2. **მენოგ ი ხრად - mēnōg ī xrad-**„გონების სჯანი“ - **mēnōg-** „სჯა“, **xrad** - გონება სამოდვრებო -სამქადაგებლო. ფეხლევდიურ სამოდვრებო ლიტერატურაში(Чунакова, 2004: 102, 179).

გელარდი -სომხებსაც აქვთ ტაძარი **გელარდი**-შუბის ტაძარი, (აქ **ინახებოდა შუბი, რომლითაც მაცხოვარი განგმირეს**), იგივე აირივანქი (ეკლესია-გამოქვანული), (ქსე 3, 1978: 130), რომელიც სწორედაც რომ ირანული მსოფლიო ხის - (**gōkard (gwkl.)**) - ანალოგიით უნდა იყოს ნაწარმოები, უფრო სწორედ, სიტყვა, ჩვენი აზრით, ნასესხები უნდა იყოს ირანული ენიდან. ამ ორივე სომხურ ჰიერონიმს თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ტაძრის ერთ სახელწოდებაში სიგრძე-სიმაღლეზე, შუბზეა აქცენტი გაკეთებული, ხოლო მეორე შემთხვევაში - გამოქვაბულზე.

ქართველი ირანისტი თეო ჩხეიძე ირანული ლექსემა კერტის შესახებ წერს:

dastkert dast (a) gird,„მამული“, ამიანე მარცვლინე მას გადმოსცემს ტერმინით willa; dstakirti, dastaskirte, სომხ. ნასესხ. ე. ჰერცფელდის აზრით, სიტყვის ამოსავლი მნიშვნელობა იყო -“castrum camp” dastakert; შდრ. ძვ. სპ dastakrta - მცირე დასახლება, სოფელი, ან ქალაქი, farm-building, რომელიც ყოველთვის მზად იყო თავდაცვისთვის. მისი ზუსტი ანალოგიაა არაბული qasr> laT castrum, სომხ.dastakert, ფაღ. dastakirt - სოფელი, დაარსებული გარკვეული პიროვნების მიერ, ისევე, როგორც არაბული qasr, qastal (ე.ი. ლათ. castellum) ზოგჯერ გამოყენებულია საკუთარ სახელად, მაგ., Dastakirt i Chusrau ეს სიტყვა ფართოდ იყო გავრცელებული უნგრ-ფინ., კავკასიურ და ირანულ ენებში. ვ. აბაევის აზრით, სკვითურ-სარმატული გზით ეს სიტყვა შევიდა როგორც უნგრო-ფინურ, ასევე კავკასიურ ენებ-

ში მაგ., უნგრ. kert - შემოღობილი ადგილი, კომი kar ta “ეზო”; ჩეხნ. kert და ინგუშ. kárt Историко-этим. сл. осет. яз., 1 გვ. 587.

პ. ჰორნს კომპოზიციის მეორე წევრი kirt აკყავს ძვ. სპ. krta-mde (Horn #909) შექმნილი დაარსებული; kar-, ავ. kereta ძვ. სპ. krta-ფართოდაა გავრცელებული სომხურ ტოპონიმებში: Tigranakert „ტიგრანის მიერ აშენებული ქალაქი“, დაარსებული ქალაქი. Ar. Gr., 168-169. ესაა სოფელზე უფრო მცირე ერთეული - „მაშული“, имение, Land gut. იხ. Н. Пигулевская, Города Ирана, (გვ. 206.) (არღაშირ პაპაკანის ძის საქმეთა წიგნი, 1975: 90-91).

ამ ლექსემას ვრცლად მიმოიხილავენ ზემოსხენებული სომეხი მეცნიერნიც:

к е р т — строение; «Ср. на угро-финской почве: ханты (остяц.) karta, karda, манси (вогул.) karda— двор, венг. kert — огражденное место, сад, коми karta — загон для скота, двор, морд, (мокша) karda, (эрзя) kardo — хлев, морд, kardas, kaldas — двор сюда же чуваш, karda — ограждение, огражденное место и в русских диалектах по Волге карта — место, огражденное плетнем или частоколом, для загона домашнего скота, калда — загородки для скота, скотный двор (особенно на пастбищах Сурского Поволжья.— Г. А., Э. М.). На кавказской почве: чечен, kert, ингуш, kart — изгородь, забор, грузин, (зап. диал.) karta, **kalta** — огороженное место для скота, мегр. karta. Ср. такж е арм. k 'ert' — город в названиях городов Tigranocerta и др.» (Абаев, 1958, I, 586—587). В осет. карт «двор». Сюда, конечно, баш. карта «загородка для скота, изгородь, окружающая деревню». Но ареал этого удивительного термина, обозначающего в общем жилище, местообитание, не ограничивается вышесказанным. Ср. др.-Иран, крта «сделанный, построенный». Совр. перс, **герд**«**город**», арабизированное **джерд** (Савина, 1971), но пехлев. **карт**. Сюда же карта в окончаниях городских имен Индонезии: **Суракарта, Джокьякарта, Джакарта**. В основе др.-иран. глагол кер, кр «сделать, создать». В топонимии: Степанакерт, центр Нагорно-Карабахской авт. обл., пос. **Мардакерт, там же; Дастакерт, Вагаршакерт, Хосровакерт** в Армянской ССР. Во всех этих названиях керт означает «построенный, воздвигнутый». Вне Армении: с. Картаель в Коми АССР, н. п. **Кардавил** в Мордовской АССР. Часты названия населенных пунктов в Иране: Кечигерд, Телегерд, Шехрджерд, Миладжерд и т. д. (Абраамиян., 1982: 83).

ქარდარ - ტაჯიკურ ენაში, რომელიც ირანულ ენადაა მიჩნეული.

кардар кн.

1. ушелье;

горная впадина; ღრმული, ფოსო, ხეობა.

2. холмистая местность (Калонтаров, 2008). ტაჯიკურშიც ერთი და იგივე სემანტიკური ერთეული გადმოსცემს მთას და მთებს შორის მოქცეულ სივრცესაც.

თუკი აგარულ (ხუნძურ) ენაში „ჭარ“ მართლაც კარს, ჭიმკარს აღნიშნავს (ზეპირი ინფორმაცია გვაქვს), მაშინ შეიძლება, ის დაკავშირდეს უძველეს ქართულ ტოპონიმთან ჭართალი/კართალი- ქართლი -მთის მცხოვრებნი, კარიბჭის მცველნი. ქართველები მართლაც იყვნენ კარიბჭის მცველები და ეს მათი მეკარიბჭეობა დადასტურებულია „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“, ჰაბოს წამებაში“. ქართლს მართლაც უკავია კავკასიაში ცენტრის, გულის, მთავარი ღერძის, შემკრების ადგილი. საქართველოს ტერიტორიაზე გვაქვს რამდენიმე ჭართალი, **სოფლები:** დუშეთში, რომელსაც იხსენიებს ქართლის ცხოვრება მირიან I-თან დაკავშირებით (-II ს); ჭართალა - სოფელი ახმეტის რ-ნში, ჭარტალა-სოფელი ორჯონიკიძის რ-ნში; **ჰიდრონიმები:** ჭართალი ლაგოდეხის რ-ნში; ჭართლისხევი დუშეთის რ-ნსა და ასევე ლაგოდეხის რ-ნში; სოფელი და მდინარე ჭარნალი ხელვაჩაურის რ-ნში; **ორონიმები:** ჭარელი - მთა ახალქალაქის რ-ნში; ჭართალი ადიგენში, არსიანის ქედზე; მთა ალევის ქედზე; ჭარ-ინდა მთა მესტიაში?(საქსსრ გეოგრაფიული სახელების ლექსიკონი, 1987: 132).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ლექსიკონში ტოპონიმი, ორონიმი და ჰიდრონიმი - ჭართალი /ჭართლისა - ფუძეკუმშვად აღის წარმოდგენილი. ჭართალი/კართალი /ქართალი - ქართლი?

სვანურისთვის ნიშანდობლივი კ>ჭ პროცესი რამდენად მისაღებია ქართულისთვის? კივილი, ჭყივილი, წივილი, ჩივილი, ხივილი, ჟივილი (ჟივილ-ხივილი; კივილ-წივილი)- რომელია ამ ფორმათაგან ამოსავალი?

ამრიგად, ჩვენ რამდენადაც ეს ერთი წერილის ფარგლებში შესაძლებელი იყო, მიმოვიხილეთ ქრთ, კრთ, კრტ, კრდ, ხრთ, ვრდ ძირებთან დაკავშირებული მითოლოგიები და სემანტიკა ძველ ენებში:

1. ქრთ ძირის ოდისეა იწყება აქადელებიდან, რომელნიც ისტორიაში - III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან თამაშობენ

მთავარ როლს; კერეტეს უგარიტული ეპოსი -II ათასწ. შუა წწ-ს განეკუთვნება.

2. **ხრთ/ქრთ** ძირი დადასტურებულია ეგვიპტურ „მკვდართა წიგნებში“ (XVII-XVI სს.), რომელიც პირამიდათა წიგნებისა (XXIV-XXIIIსს.) და სარკოფაგთა წიგნების (XXI-XVIIIსს.) მოგვიანო ვარიანტია. მასში დადასტურებული სინტაქსური წყვილი **ხრთ (ცა) ნიტრ** (დმერთები) - აღნიშნავს დმერთების ცას. ტექსტში საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდ გავიდეს გარდაცვლილი ადამიანის სული დმერთების ცაზე - **ხრთ ნიტრზე**, - დმერთების შესაკრებელზე. ჩენ არ შეგვიძლია განვსაზღვროთ, აქადური და ეგვიპტური წიგნებიდან რომელია პირველი.

3. **ქრთ, კრთ, კრტ, კრდ, ხრთ, გრდ** ძირებთან დაკავშირებული მითოლოგიების ძველ ენებში მიმოხილვამ, ასევე სიტყვის „ვირუსულმა“ ბუნებამ, უძველესი დროიდან დადასტურებულმა მრავლმხრივმა მიგრაციულმა ტალღებმა, უძველესი ადამიანის მითოსური და ხატოვანი აზროვნების უნარმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მოხდა ერთი ძირის მუტაცია ვოკალიზების სხვადასხვა ვარიანტებით. ეს პროცესი, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით კარად ჩანს ძველბერძნულ, ლათინურ, წინააზიურ და არშაკიდული პართიის ენებში: მთა, ღვთის დავანების ადგილი, მთაზე ამსვლელი - ღვთის შვილი (უგარიტული ეპოსის კერეტე), ეთნარქოსი, მეფე (ბაკმიანი), ქურუმი, გონიერი, ქალაქის დამაარსებელი-შემომხლუდავ-შემომღობველი, მცველი, ბაღების (მიწათმოქმედების) კულტურის დამამკვიდრებელი, ძლიერი, მსაჯული, გმირი, ცენტრი, ღერძი, გული.

4. **ქრთ, კრთ, კრტ, კრდ, ხრთ, გრდ** ძირებზე აგებული ქართული ლექსიკური ერთეულები, შეიძლება ითქვას, რომ თანხმობაშია უძველესი ენების ლექსიკურ ერთეულებთან.

წერილში, ჩვენი აზრით, ახალ საფეხურზე ავიყვანეთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ორონიმისა და პიერონიმის, **კარატეს ხატის** ეტიმოლოგიური კვლევა (მოკლე სტატია ვრცელ სტატიაში), დავაკავშირეთ რა ის ძველბერძნულ *Ἰκάρῃ τῷ, ἔπ. -იონ. κάρη (ἄ) -სთან*, „თავი“. „მწვერვალი“; გააშინაარსდა ხალხური ლექსის სტრიქონი: „კარატი კარატემდინა გზა მქონდა გასავალია“ „წვერიდან წვერამდე (კლდიდან კლდემდე, მთიდან-მთამდე) გზა მქონდა გასავალია“. ღვთისშვილნი ზეციდან ვერტიკალურად ჩამომავალ, ან წვერიდან წვერამდე გაბმულ შიბზე დადიან. მაშასადამე ბერძნულ ენაში სიტყვა უკვე -VIII-VI სს-ში ლიტერატურულად დადასტურებული ფაქტია;

კარატის სალოცავი წარმართული ეპოქიდან ნამემკვიდრალი ჩანს ჩვენში. მიახლოებითი თარიღის დაგენაც კი გვიჭირს, თუმცა ქვედა ზღვრად ალექსანდრე მაკედონელის ეპოქა მიგვაჩნია. ბერძნულ სივრცეში ცნობილი ლექსემის ოთხი მნიშვნელობიდან ჩვენში დამკვიდრებული ჩანს მხოლოდ ორი: „თავი და“ და „მწვერვალი“. სიტყვის სემანტიკური ველი საბერძნეთში გაერცობილი ჩანს -V ს-ში.

5. სტატიაში ჰიპოთეზის სახით შემოთავაზებულია რამდენიმე ლექსიკური ერთეულის ახსნის მცდელობაც: ა. იბერია იყო და არის იქნებ ქართლის თარგმანი? არამეულად სამი განსხვავებული შინაარსის ლექსემა უაღრესად მსგავსი სიტყვებით გადმოიცემოდა: **bera'** - (ძე, ვაჟი); **beira'** - ვირი, ან ხარი; **bēra** - ჭა, ჯურღმული; შესაძლოა, არამეულებმა გეოგრაფიული მახასიათებლების გამო, ასე აღიქვეს ჩვენი ქვეყანა. ფაქტია, რომ ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი სამშობლოს აღსანიშნავად არაც არამეულ-ბერძნული **Ἰβηρία** გამოიყენეს, არც შაბურ I -ის დროინდელი **Vyršn**, არც სასანურ-ფალაური **ვაღუჩან** არც სომხური ვრაც, არამედ - **ქართლი**. ქართლის მსგავს ქორონიმად ქართულ სივრცეში ჩვენ მივიჩნით ქართლის ცხოვრების მიხედვით -I ს-ში დადასტურებული ტოპონიმი და ორონიმი, ქორონიმი და ეთნონიმი ჭართალი/ჭართლელები, **ბ.** ჩვენ მ. ჩუხუას მიერ განხილულ ლექსემა ს. ქართვ. *ქარდ- ს „ეკალი“, „ქაცვი“, სინდურ ენებშიც დადასტურებულს, იმედია, სწორად მოგუნახეთ ლექსიკური შესატყვისი ლათინურ ენაში: **cardo, inis m** - ეკალი, ქაცვი, შვერილი, წვეტი; **cardo, inis f.** - ბუდე, ღიობი, ხვრელი, ნახვრეტი. ერთსა და იამავე ლათინურ სიტყვაში სემანტიკურ დიფერენცირებას იწვევს მხოლოდ სიტყვის სქესი. ქართულ ენას კი სქესის გრამატიკული კატეგორია არ გააჩნია, თუმცა ეს დიფერენცირება სემანტიკურ ველში ჩანს; **გ.** შუმერული **უნირ**, (**აქად. ზიქ-ქურათ**) „მადლად აღმართული“ დავაკავშირეთ ქართულ ლექსემა **უნარ-თან**, ვინაიდან უნარის ქონა სწორედაც ნიშნავს კავშირის დამყარებას უხილავად, გონებით, სულიერად, მისტიკურად. მისი პროფანირებული შინაარსია რაიმე სამეცნიერო დისციპლინის, ან ხელობის ათვისებისთვის საჭირო გონებრივი მონაცემები. **დ.** შესაძლებელი ჩანს ფეხლ. **გოკარდ-ის**, **მსოფლიო ხის** კავშირი სომხ. წყაროების **გოგარქ/გუგარქთან**, სტრაბონთან გრეციზებულ **გოგარენესთან** (ფეხლ. **gōkard** > გუ(ო)გარდ > გუგარქი? (ქ. ჯ.); თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ სომხებისთვის ქართველი

ყოფილა მსოფლიო ხის სამკვიდროს შვილი; ე. შემოთავაზებულა კრეტ-საბმელ-ის ღობე-ყორეს, სვე-ბედის მსგავ კომპოზიტად გაგება; ვ. თუკი სადავო kar ფუძეს მართლაც აქვს კავშირი ქართ. ყორესთან, მაშინ უმნიშვნელოვანეს ქართულ ლექსემა სა-მ-ყარ-ო-საც <სა-მ-ყორ-ე კლდე სდებია საფუძლად; ზ. ქართული კარ-(ე)-ბ-ებ-ის კავშირი ურარტულ კარბი-სთან.

6. ქართველთა ეთნარქ ქართლოსის მიერ ქართლის მთაზე დამკვიდრება, მთის, ქალაქისა და ქვეყნისთვის ქართლის დარქმევა დროში ემთხვევა სახელმწიფო ბაბილონის წარმოქმნას, რომლის მკვიდრნი, სიბრძნით განთქმულნი, საკუთარ სამეფოს აქადურად Karduniaš -ს (ქარდუნიაშ-ს) უწოდებდნენ. მათალია, დროთა ვითარებაში ქორონიმი ქართლის შინაარსი გაბუნდოვანდა დაიცალა აზრისგან, მაგრამ სიტყვის სუგესტიური ძალის თანახმად, ქართულ, მესხურ ფოლკლორში მაინც აირეკლა, მაინც დარჩა მისი შინაარსი, იქედან კი გადავიდა გ. ორბელიანის პოეზიაში: „მკლავით ძლიერი ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი“. საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა ჩამონათვალში ციხე-ბურჯობა, ძალა და სიმაგრე მხოლოდ ქართლელთან დაწყვილდა.

7. იმედია, მოვახერხებთ გვეხვეწებინა, რომ ქორონიმი და ჰიერონიმი ქართლი/საქართველო და ეთონიმი ქართველი, რომელსაც ქართული ტრადიცია, მითოსური პერიოდიდან მომდინარე, აკავშირებს ეთნარქთან ქართლ-ოს-ი, პოლისემანტიკური შინაარსითაა განფენილი უკვე ძველ ენებშივე. ეს კი გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ დღევანდელი კაცობრიობის ისტორია ეს მკვიდრთა, წასულ-მოსულთა, ეროვნული და გეოპოლიტიკური კატასტროფების ისტორიაცაა, ასახული ენობრივ მონაცემებში. ჩვენი სამეცნიერო წერილი სწორედ ამის ჩვენებას ისახავდა მიზნად.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. აბრაამიანი, 1982 - Абраамян Г. С., Мурзаев, Э. М., Армянская географическая терминология // Вопросы Ономастики, Свердловск 1982.

2. ავერიცევი, 1975- Аверинцев, С. С., Мир как школа//Поэтика ранневизантийской литературы., М., 1977.

3. არდაშირ პაპაკის ძე, 1975 -არდაშირ პაპაკის ძის საქმეთა წიგნი, ფალაურიდან თარგნა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთი თეო ჩხეიძემ, თბ., 1975.

4. ბეკესი, 2010 - Beekes, R. S. P. (Robert Stephen Paul) Etymological dictionary of Greek / by Robert Beekes; with the assistance of Lucien van Beek. LEIDEN • BOSTON 2010.
5. ბელიაევი, 2013 - Беляев Л. А., Зайцев Д. В., Карфаген// Православная энциклопедия, т. 31, М., 2013
6. ბერძნული ენის..., 1986- Предметно-понятийный словарь греческого языка. Микенский период. Л., 1986.
7. ბონგრად-ლევინი 1985 - Бонгард-Левин Г. М., Ильин Г. Ф., Индия в древности, М., 1985.
8. გამსახურდია 1995 - გამსახურდია კ. ზ, ადრექრისტიანული ქართლის კულტურული მოზაიკა, თბ., 1995.
9. გამყრელიძე 1989- გამყრელიძე თ., ძველი ბერძნული დამწერლობა //წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა, თბ., 1989
10. გორდეზიანი 2007 - გორდეზიანი რ., მედიტერანულ-ქართველური მიმართებები III, ეტრუსკული, თბ., 2007.
11. გორდეზიანი 2007 - გორდეზიანი, მედიტერანულ-ქართველური მიმართებები II, წინაბერძნული, თბ., 2007.
12. გორდეზიანი 1970- გორდეზიანი, „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზის საკითხები, თბ., 1970.
13. გორდეზიანი 2009 - გორდეზიანი ლ., ძველი ისტორიის ნარკვევები, თბ., 2009.
14. გრაბარ-პასეკი 1966 - Грабарь-Пассек М. Е., Античные сюжеты и формы в западноевропейской литературе, 1966.
15. დანტე 1967 - დანტე ალიგიერი, ჯოჯოხეთი //ღვთაებრივი კომედია// კ. გამსახურდია, თხზ. ტ. VIII, 1967,
16. დვორეცკი 1976 - Дворецкий И. Х., Латинско- русский словарь, М., 1976.
17. დვორეცკი 1958 - Дворецкий И. Х., Древнегреческо-русский словарь, т. I, М., 1958.
18. დონინი 1965 - დონინი ა., ადამიანები, კერპები და ღმერთები, თბ., 1965.
19. დოროშენკო 1982 - Дорошенко А. Р., Зороастрийцы в Иране, М., 1982.
20. ესბე, ЭСБЕ: brokhaus-efroni:
<http://www.broctaus.ru/text/048/301.htm>

21. ვიდიზენი 2013- Fred C. Woudhuizen. On the Identity of the Indo-European Substrate in Western Anatolia (ანგლ.) // Živa Antika. — Skopje, 2013: Vol. 63. P. 5—11).

22. ვაჟა-ფშაველა 1990 - ვაჟა-ფშაველა, ჩემი წუთისსოფელი, თბ., 1990, 390.

23. თოფჩიშვილი 2012 - თოფჩიშვილი რ., კავკასიის ხალხთა ეთნოლოგია, თბ., 2012.

24. იეზდიგერდი: <http://www.iranicaonline.org/articles/yazdegerdi>

25. ლეონტი მროველი 2008 - ლეონტი მროველი, მეფეთა ცხოვრება//ქართლის ცხოვრება, თბ., 2008.

26. კიკნაძე 1984 - კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგიის ლექსიკონი, თბ., 1984.

27. კიკნაძე 1996 - კიკნაძე ზ., კარატე, კარატისწვერი (მთა), კარატის ჯვარი (კოპალა)//ქართული მითოლოგია, თბ., 1996.

28. კიკნაძე 1979 - კიკნაძე ზ., შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1979.

29. კლიმოვი 1994 - Klimov, G., Einführung in die kaukasische Sprachwissenschaft. Hamburg: Buske. 1994.

30. კონარგინა 1987 - Кочергина В. А.. Санскритско-русский словарь. Москва. 1987, 152.

31. კოლონტაროვი 2008 - Колонтаров Я., Новый таджикско-русский словарь, Душанбе 2008.

32. კოტაიკი/ქოთაიქი Kotáyk:

<https://www.advantour.com/rus/armenia/kotayk.htm>

33. მაკალათია 1934 - მაკალათია ს., „ხევი“, ტფილისი, 1934, 21.

34. მარუაშვილი 1986 - მარუაშვილი ლ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1986, 469.

35. მეღიქიშვილი 1970 - მეღიქიშვილი გ., ქართველები, მათი წარმომავლობის საკითხი//საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. I, თბ., 1970.

36. ნარიმანაშვილი 1993 - ნარიმანიშვილი გ., ხიმშიაშვილი კ., იბერიული ცეცხლის ტაძრების ერთი ჯგუფი//ლიტერატურა და ხელოვნება, თბ., 1993.

37. ნუსტრემი 1998 - Нюстерем Э., Тир // Библейский энциклопедический словарь, Санкт-Петербург 1998.

38. ოვიდიუსი 1980 - ოვიდიუსი, მეტამორფოზები, I 255, ლათინურიდან თარგმნეს ნ. მეღაშვილმა, ნ. ტონიამ, ი. გარაყანიძემ, თბ., 1980.

39. ოვიდიუსი 1973 - Публий Овидий Назон. Элегии и малые поэмы. Фасты VI, 101-104, перевод с латинского Ф. А. Петровского, М., 1973.
40. ოპარინი 1972 Опарин В., Сказы старого жемчуголова /Из истории села Кереть // „Север“, 1972. — № 2.
41. პეტროზილო 2011 - პიერო პეტროზილო, კრეცსაბმელი // ქრისტიანობის ლექსიკონი, თბ., 2011.
42. Пиотровский Б. Б. Ванское царство (Урарту) М., Издательство Восточной литературы, 1959.
43. რაკი 2004- Рак И. В., Египетская мифология. М., 2004.
44. სანებლიძე 1977 - სანებლიძე მ., ქსე, ტ. 2, თბ., 1977.
45. საქართველოს სსრ გეოგრაფიული სახელების ლექსიკონი, თბ., 1987.
46. სტრაბონი 1964 - Страбон, „География“ в 17 книгах. Перевод Г. А. Стратановского, М., 1964.
47. სოფოკლე 1988 - სოფოკლე, თებეს ტრაგედიები. თარგმანი გ. ხომერიკისა, თბ., 1988.
48. ფილოსტრატე 1985 - Филострат, Жизнь Аполлония Тианского, перевод и комментарии Е. Г. Рабинович, М., 1985.
49. ფიცხელაური 2009-2010 - Пицхелаური К., Древнегрузинский очаг цивилизации на Южном Кавказе // Археология Кавказа, Тб., 2009-2010.
50. ფლიტნერი 1958 - Флитнер Н., Дур-Шаррукин, Культура и искусство Двуречья и соседних стран, М. – Л., 1958,
51. ქართლაშის მთა -
<http://dl.sangu.edu.ge/pdf/dissertacia/sofiokekuia.pdf>
52. ქაშაკაშვილი 1990 - ქაშაკაშვილი ი, ღმერთები, მითები, რიტუალები, თბ., 1990.
53. ქაჯაია 2003 - ქაჯაია ო., მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002.
54. ქაჯაია 2002 - ქაჯაია ო., მეგრულ ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 2002.
55. ქვლივიძე 2000 - Квливидзе Н. В., Лявданский А. К., Шукуров Р. М., Авраам // Православная энциклопедия, т. I. М., 2000.
56. ქსე 1980 - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980.
57. ქსე 1979 - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979.

58. ქსე 1978 - ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1978.
59. ქეელი 1990 - ფეირიხი ჰ., სარჯველაზე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.
60. ქეელი 1990 - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1990.
61. შიფმანი 1983 - Шифман И. Ш., Угаритско-Финикийская лигатура //История всемирной литературы. Т. 1. - М., 1983.
62. შტაერმანი 1991 - Штаерман Е. М., Карна // Мифологический словарь, М., 1991.
63. ჩუბინაშვილი 1984 - ჩუბინაშვილი დ., ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984.
64. ჩუნაკოვა 2004 - Чунакова О.М., Пехлевийский словарь зороастрийских терминов, мифических персонажей и мифологических символов С.-Петербург, фил. — М., 2004,
65. ძველევგვიპტური სიმბოლოები - Символы Древнего Египта http://the-symbol.ru/simvoli_drevnego_egipta.htm
66. ძველევგვიპტური მკვდართა წიგნი 2004: Древнеегипетская книга мертвых. Слово устремленного к Свет, пер. Шапошников А. М., 2004.
67. ძიდიგური 1990 - ძიდიგური შ., ქართული ენის თავგადასავალი, თბ., 1990.
68. ჩუხუა 2017 - ჩუხუა მ., ქართულ-ჩერქეზულ-აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 2017.
69. წულუკიძე 2010 - წულუკიძე ნ., ინდური პლასტი ქართულ მითოსში// არიან ქართლიდან მოსულნი, ბათუმი, 2010.
70. ჯერვალძე 2015, ჯერვალძე ქ., პეტრიაშვილი ნ., ონომასტიკური ძიებანი: ბაღვაში, ლიპარიტი... ახალციხე 2015.
71. ხახუტაიშვილი 1971 - ხახუტაიშვილი დ., ირანი და შუა აზია // ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, თბ., 1971,
72. ჯაყელი 1980 - ჯაყელი ქ., ქართა, ქსე 10, 1980.
73. ჯოხარიძე 2016 - ჯოხარიძე მ., ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში, წიგნი I. ბათუმი, 2016.
74. ხართიშვილი 2010 - ხართიშვილი ი., ივანე ჯავახიშვილი ბიზანტიელი ავტორების მიერ ქართველი ტომების მოხსენიების შესახებ: http://defencegeorgia.blogspot.com/2010/12/blog-post_6247.html